სპორტიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 26 ივლისი 2003 №137 (1909) | ფასი 50 თეთრი

პრიზ და იყოს!

თბილისის „დინამომ“ მორიგი უგემურობით გამოიხურა ევროპული ფეხბურთის კარი, მაგრამ ამ უქმეებზე იწყება საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც ერთადერთი რამ არის, ქვეყნის დამოუკიდებლობის დროიდან რომ არ შეწყვეტილა.

ქვეყნის ჩემპიონატი იწყება და ის მნიშვნელოვანია. ის არ არის მხოლოდ ორი-სამი გუნდის გამახურებელი შეჯიბრი და არც მაინცდამაინც იმისთვის ტარდება, რომ ეს ორი-სამი გუნდი ზაფხულის თვის ერთ საღამოს უბრალო უცხოურ გუნდებს ეთამაშებიან, ქუდს დაიხურავენ და ამით მოამთავრებენ ევროპაზე ლაპარაკს.

საქართველოს ჩემპიონატი ამაზე ბევრად მეტია და თუ მისი საერთო კლასი, გაქანება ან საერთო ვითარება სანიმუშო არ არის, მეორე მხრივ, სწორედ ისავე არის ერთადერთი იმედი იმისა, რომ ქართული ფეხბურთი კიდევ არსებობს, შობს ტალანტებს და ზოგჯერ მოულოდნელად გაგვახარებს ხოლმე საინტერესო თამაშებით.

ამიტომ, დღეს საქართველოს მთავარი შეჯიბრი იწყება. იწყება კიდევ ერთხელ და, როგორც ყოველთვის, ჩვენც ახალი იმედით ვივსებით, რადგან საქართველოს უამრავ ქალაქში, უხალისო და გაუხარელ ყოფაში ერთდროულად შემოაბიჯებს მისი უდიდებულესობა ფეხბურთი. ეგებ, ცოტა ძველმანებში ჩაცმული, ცოტა ზანტი, არცთუ მთლად ალალი და განუმეორებელი, მაგრამ მაინც ფეხბურთი და ჩვენც ერთბაშად გვავიწყდება ის, რაც უნდა დავივიწყოთ, როცა ფეხბურთი გვეწვევა ხოლმე.

ZAZA

სწორედ გუშინ ვწერდით, „ორლანდო მეჯიქი“ ზაზა ფაჩულიას თავის საკუთრებად მიიჩნევს, რაკი ბავშვებისთვის საკალათბურთო გაკვეთილის ჩასატარებლად დაჰყავს და უკვე სამედიცინო შემოწმებაზე გაატარაო. ფორმალურ საქმეთა მოსამთავრებლად საჭირო იყო მხოლოდ მოთამაშის ხელმოწერააღბეჭდილი კონტრაქტი.

და ჰა, ყველაფერი დამთავრდა. გუშინდელ გამთენიისას 19 წლის ქართველს „მეჯიქის“ ბოსის ჯონ გაბრიელის კაბინეტში ორწლიანი კონტრაქტი გაუშალეს. ზოგი წყაროს ცნობით, კონტრაქტი 1+1-წლიანია. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი წლის შემდეგ ფაჩულიას ექნება არჩევანის ნება — მეორე წლით დარჩეს თუ არა „ორლანდოში“, თუმცა ზაზა სადღეისოდ არც დაგიდევთ ამ დეტალებს, მთავარია, რომ ხელი მოაწერა და ბავშვობის ოცნება აიხდინა — ჩაირიცხა ნბა-ს კლუბში.

კიდევ ერთი დეტალი: ფაჩულიასთვის საზეიმო ვითარებაში არ გადაუციათ, მაგრამ დაუტოვეს ის 27-ნომრიანი მაისურა, რომლითაც საზაფხულო ლიგაში ითამაშა. ამგვარად, ის სწორედ 27 ნომრით გავა შემოდგომაზე პირველ ოფიციალურ თამაშში.

ფაჩულია ახლა ევროპაში მოფრინავს, კალათბურთელად გამზრდელ თურქებს მადლობა რომ უთხრას და სამშობლოშიც შემოიაროს. მას ამერიკაში ოქტომბრისთვის ელიან, ნბა-ს კლუბთა საწვრთნელი ბანაკებისას. მაგრამ ფაჩულია ფლორიდაში დაბრუნებას აგვისტოში აპირებს, ნბა-ში თამაში ისე სურს, ამ სურვილის დაოკებას ვარჯიშით აპირებს.

ჰა, სუფრა, ჰა, მოედანი!

ჩემპიონატის პირველი დღე პირველი ჭიქასავითაა: ყველა ყოჩაღია



ბადრი კეთილაძის ფოტო

დღეს იწყება და სამ დღეზე გაიჭიმება მე-15 ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტური. თუმცა დღეების რაოდენობას პრინციპული მნიშვნელობა არც აქვს – მთავარია, რომ დღეს ჩემპიონატი იწყება

უეჭველია, რომ უამრავი რამ ამ ჩემპიონატშიც ისევე მოუწესრიგებელი იქნება, როგორც წინა 14 სეზონში იყო. როგორ დავიჯეროთ, რომ აღარ იქნება თამაშების ჩაწყობა და ჩაწყობის მცდელობა, რომ აღარ იქნება ქვების სროლა, უხეირო მსაჯობაზე გაუთავებელი ლაპარაკი, უფულობაზე წუწუნი და ათასი სხვა რამ.

მაგრამ ისიცაა, რომ ახალი დებულებიდან გამომდინარე, ნაკლები იქნება უპრინციპო მატჩები, ანუ, ერთი მხრივ, მეტი დაძაბული თამაში იქნება და, მეორე მხრივ, ჩაწყობებმა და ჩაწყობის მცდელობამ, წესით უნდა იკლოს.

ახალი დებულება კი გვამცნობს, რომ სეზონის ბოლოს ორი გუნდი გავარდება, მაგრამ დალხინებული ვერც მე-9 და მე-10 ადგილებზე გასულები იქნებიან — მათ პირველლიგელებთან მოუწევთ გადათამაშება და აქედან გამომდინარე, რაც უფრო მეტ გუნდს ექნება საბრძოლველი, ჩემპიონატიც მით უფრო საინტერესო გამოდგება.

მაგრამ ამ მოსაზრების სისწორე ან მცდარობა ცოტა მოგვიანებით გაირკვევა, ჯერ ჩემპიონატის დაწყებისა ვთქვათ.

ჩემპიონობის ფავორიტები იგივენი არიან, ვინაც ამ ბოლო წლებში იყვნენ, თუმცა მათგან „ტორპედოს“ დასუსტება ეტყობა. ქუთაისელებმა ზურაბ იონანიძე და მალხაზ ასათიანი — ორი მთავარი ფეხბურთელი გაყიდეს და ვეჭვობთ, მათი სრულფასოვნად შემცვლელები ეგულებოდეთ.

ამის საპირისპიროდ, გაძლიერდნენ „დინამო“ და „ლოკომოტივი“. ახალი სეზონის დაწყების წინა დღეს რკინიგზელთა გუნდმა მოსკოვის „სპარტაკიდან“ დაიმატა ქოქიაშვილი, შეემატნენ ხომერიკი და სიჭინავაც. „დინამოს“ გაძლიერებაზე კი უფრო ხშირად გვიწევდა წერა, მაგრამ საქართველოს 11-გზის ჩემპიონი, უკვე გამოჩნდა, ოდენ ეროვნული ჩემპიონატისთვის ძლიერდება, თორემ ევროპული საზომით...

ნუ გავიკვირვებთ, შარშანდელ სიურპრიზს მეორე სიურპრიზიც თუ შემატა „სიონმა“. თასის ფინალისტმა ბოლნისელებმა ძველი ლოკომოტიველი ჭიჭვეიშვილი და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატეს.

სხვაგან კი რა, თითქოს ყველაფერი ძველებურადაა. აგერ ბათუმელებს ისევ მეოთხედტრიბუნიან სტადიონზე მოუწევთ თამაში, თუმცა ამბობენ, ახალი, ხელოვნურსაფარიანი სტადიონი უნდა ავაშენოთო. მაგრამ ამ საქმეს, ეგებ საჭიროს, ეგებ უსარგებლოსაც, დაწყების პირი ჯერ არ უჩანს.

ცხადია, უნდა ვთქვათ უმაღლესი ლიგის ახალწვეულებზეც. მათგან ერთი, ოზურგეთის „მერცხალი“, ძველი უმაღლესლიგელია, რომელსაც ათი წლის წინ გაეყარა. მეორე, თბილისის „სპარტაკი“ ოდენ ზუგდიდის „ლაზიკას“ გაჭირვებამ აღაზევა უმაღლესში — მოგეხსენებათ, ზუგდიდელები უსახსრობით სულს ღაფავდნენ და „სპარტაკისთვის“ ადგილის დათმობით ცოტათი ამოისუნთქეს. მესამე კი „სპარტაკისამებრ“ დებიუტანტი „მცხეთა“ გახლავთ.

მე-15 ეროვნული ჩემპიონატის წინ სათქმელი ძირითადი ამბები ეს არის, ამას კი უთუოდ უნდა დავუმატოთ, რომ ჩემპიონატმა პროფესიონალურობისკენაც აიღო გეზი. ოღონდ ახალშექმნილი პროფესიული ლიგა თავის პირველ სეზონს ჩემპიონატის ძველ პატრონთან, ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ჩაატარებს. ამ ორ ორგანიზაციას შორის ფუნქციები როგორ გადანაწილდება, ეს კი ღმერთმა უწყის, ისევ, როგორც ყველაფერი ამ ჩვენს ბედოვლათ ჩემპიონატში.

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი — პირველი ეტაპი

1 ტური

ანონსი

თბილისი. 26 ივლისი. 18.30 საათი. ერეკლეული

დინამო — სპარტაკი

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: რ. შოთაძე

ქუთაისი. 26 ივლისი. 18.30 საათი. ტორპედო

ტორპედო — ბათუმი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ფოთი. 26 ივლისი. 18.30 საათი. ფაზისი

კოლხეთი — დილა

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; კ. თბილელი, მ. ელიკაშვილი (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა; დირექტორი: გ. სორდია

ოზურგეთი. 26 ივლისი. 18.30 საათი. ცენტრალური

მერცხალი — თბილისი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ჯვარიძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი; დირექტორი: ს. კოტრიკაძე

თბილისი. 27 ივლისი. 18.30 საათი. შევარდენი

ვიტ ჯორჯია — მცხეთა

მსაჯები: ჯ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. ასკარ ოლლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: ნ. კაკულია

თბილისი. 28 ივლისი. 18.30 საათი. ლოკომოტივი

ლოკომოტივი — სიონი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); ი. კახიანი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: გ. ძამუკაშვილი

უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

I წრე

პირველი ტური

26 ივლისი, შაბათი
დინამო — სპარტაკი
ტორპედო — ბათუმი
კოლხეთი — დილა
მერცხალი — თბილისი

27 ივლისი, კვირა
ვიტ ჯორჯია — მცხეთა

28 ივლისი, ორშაბათი
ლოკომოტივი — სიონი

მეორე ტური

2 აგვისტო, შაბათი
სპარტაკი — თბილისი
სიონი — მერცხალი
ბათუმი — კოლხეთი
დინამო — ტორპედო

3 აგვისტო, კვირა
მცხეთა — ლოკომოტივი
დილა — ვიტ ჯორჯია

მესამე ტური

9 აგვისტო, შაბათი
ტორპედო — სპარტაკი
კოლხეთი — დინამო
მერცხალი — მცხეთა
თბილისი — სიონი

10 აგვისტო, კვირა
ლოკომოტივი — დილა

11 აგვისტო, ორშაბათი
ვიტ ჯორჯია — ბათუმი

მეოთხე ტური

16 აგვისტო, შაბათი
დილა — მერცხალი
ბათუმი — ლოკომოტივი
მცხეთა — თბილისი

17 აგვისტო, კვირა
სპარტაკი — სიონი
დინამო — ვიტ ჯორჯია
ტორპედო — კოლხეთი

მეხუთე ტური

23 აგვისტო, შაბათი
კოლხეთი — სპარტაკი
ლოკომოტივი — დინამო
მერცხალი — ბათუმი
სიონი — მცხეთა

24 აგვისტო, კვირა
ვიტ ჯორჯია — ტორპედო

25 აგვისტო, ორშაბათი
თბილისი — დილა

მეექვსე ტური

31 აგვისტო, კვირა
სპარტაკი — მცხეთა
დილა — სიონი
ბათუმი — თბილისი
დინამო — მერცხალი
ტორპედო — ლოკომოტივი
კოლხეთი — ვიტ ჯორჯია

მეშვიდე ტური

13 სექტემბერი, შაბათი
ვიტ ჯორჯია — სპარტაკი
ლოკომოტივი — კოლხეთი
მერცხალი — ტორპედო
სიონი — ბათუმი
მცხეთა — დილა

14 სექტემბერი, კვირა
თბილისი — დინამო

მერვე ტური

20 სექტემბერი, შაბათი
სპარტაკი — დილა
ბათუმი — მცხეთა
დინამო — სიონი
ტორპედო — თბილისი
კოლხეთი — მერცხალი

21 სექტემბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

მეცხრე ტური

26 სექტემბერი, პარასკევი
მერცხალი — ვიტ ჯორჯია
თბილისი — კოლხეთი

27 სექტემბერი, შაბათი
ლოკომოტივი — სპარტაკი
სიონი — ტორპედო
მცხეთა — დინამო
დილა — ბათუმი

მეათე ტური

30 სექტემბერი, სამშაბათი
ვიტ ჯორჯია — თბილისი

1 ოქტომბერი, ოთხშაბათი
სპარტაკი — ბათუმი
დინამო — დილა
ტორპედო — მცხეთა
კოლხეთი — სიონი
ლოკომოტივი — მერცხალი

მეთერთმეტე ტური

5 ოქტომბერი, კვირა
მერცხალი — სპარტაკი
თბილისი — ლოკომოტივი
სიონი — ვიტ ჯორჯია
მცხეთა — კოლხეთი
დილა — ტორპედო
ბათუმი — დინამო

II წრე

მეთორმეტე ტური

17 ოქტომბერი, პარასკევი
დილა — კოლხეთი

18 ოქტომბერი, შაბათი
ბათუმი — ტორპედო
მცხეთა — ვიტ ჯორჯია
თბილისი — მერცხალი

19 ოქტომბერი, კვირა
სპარტაკი — დინამო
სიონი — ლოკომოტივი

მეცამეტე ტური

22 ოქტომბერი, ოთხშაბათი
ვიტ ჯორჯია — დილა
კოლხეთი — ბათუმი

23 ოქტომბერი, ხუთშაბათი
თბილისი — სპარტაკი
მერცხალი — სიონი
ტორპედო — დინამო
ლოკომოტივი — მცხეთა

მეთოთხმეტე ტური

27 ოქტომბერი, ორშაბათი
სპარტაკი — ტორპედო
დინამო — კოლხეთი
ბათუმი — ვიტ ჯორჯია
დილა — ლოკომოტივი
მცხეთა — მერცხალი
სიონი — თბილისი

მეთხუთმეტე ტური

31 ოქტომბერი, პარასკევი
სიონი — სპარტაკი
თბილისი — მცხეთა
მერცხალი — დილა
ლოკომოტივი — ბათუმი
კოლხეთი — ტორპედო

1 ნოემბერი, შაბათი
ვიტ ჯორჯია — დინამო

მეთექვსმეტე ტური

8 ნოემბერი, შაბათი
სპარტაკი — კოლხეთი
ტორპედო — ვიტ ჯორჯია
ბათუმი — მერცხალი
დილა — თბილისი
მცხეთა — სიონი

9 ნოემბერი, კვირა
დინამო — ლოკომოტივი

მეჩვიდმეტე ტური

12 ნოემბერი, ოთხშაბათი
მცხეთა — სპარტაკი
სიონი — დილა
ვიტ ჯორჯია — კოლხეთი
თბილისი — ბათუმი

13 ნოემბერი, ხუთშაბათი
მერცხალი — დინამო
ლოკომოტივი — ტორპედო

მეთვრამეტე ტური

16 ნოემბერი, კვირა
სპარტაკი — ვიტ ჯორჯია
ბათუმი — სიონი
დილა — მცხეთა

17 ნოემბერი, ორშაბათი
დინამო — თბილისი
კოლხეთი — ლოკომოტივი
ტორპედო — მერცხალი

მეცხრამეტე ტური

21 ნოემბერი, პარასკევი
დილა — სპარტაკი
მცხეთა — ბათუმი
თბილისი — ტორპედო
მერცხალი — კოლხეთი

22 ნოემბერი, შაბათი
სიონი — დინამო
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

მეოცე ტური

26 ნოემბერი, ოთხშაბათი
ვიტ ჯორჯია — მერცხალი
სპარტაკი — ლოკომოტივი
კოლხეთი — თბილისი
ტორპედო — სიონი
დინამო — მცხეთა
ბათუმი — დილა

ოცდამეერთე ტური

3 დეკემბერი, ოთხშაბათი
ბათუმი — სპარტაკი
დილა — დინამო
მცხეთა — ტორპედო
სიონი — კოლხეთი
თბილისი — ვიტ ჯორჯია
მერცხალი — ლოკომოტივი

ოცდამეორე ტური

7 დეკემბერი, კვირა
სპარტაკი — მერცხალი
ლოკომოტივი — თბილისი
ვიტ ჯორჯია — სიონი
კოლხეთი — მცხეთა
ტორპედო — დილა
დინამო — ბათუმი

საქართველოს XV ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. განცხადებები

„დინამო“ თბილისი

1.	ირაკლი ზოიძე	1969
2.	დავით გვარამაძე	1975
3.	გიორგი შაშიაშვილი	1979
4.	მამუკა წერეთელი	1979
5.	ალექსანდრე ამისულაშვილი	1982
6.	ვლადიმერ ბურდული	1980
7.	ალექსანდრე გოგობერიშვილი	1977
8.	დავით კვირკველია	1980
9.	ილია კანდელაკი	1981
10.	არჩილ სახვაძე	1978
11.	გიორგი ანჩაბაძე	1973
12.	ვიტალი დარასელია	1979
13.	ლადო ახალაია	1981
14.	მიხეილ ბობოხიძე	1981
15.	ლევან მელქაძე	1979
16.	რატი ალექსიძე	1978
17.	კარლოს და როჩა	1973

მწვრთნელი: ივო შუშაკი

„ტორპედო“ ქუთაისი

1.	ზვიად სტურუა	1978
2.	გიორგი სომხიშვილი	1980
3.	ლაშა ჭელიძე	1985
4.	ვახტანგ ხვადაგიანი	1972
5.	მიხეილ მახვილაძე	1978
6.	დავით გამეზარდაშვილი	1982
7.	შოთა ბაბუნაშვილი	1980
8.	კახა კვეტენაძე	1970
9.	რომან ახალკაცი	1981
10.	გაგა ჩხეტიანი	1983
11.	გიორგი ნერგაძე	1982
12.	ანდრი პოროშინი	1978
13.	რევაზ კვერნაძე	1981
14.	ზვიად ქუთათელაძე	1979
15.	ზურაბ მუშკუდიანი	1978
16.	სევასტი თოდუა	1976

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

„ვიტ ჯორჯია“ თბილისი

1.	მირზა მერლანი	1980
2.	დავითი მამარდაშვილი	1977
3.	ლევან მერებაშვილი	1979
4.	გიორგი კვახაძე	1981
5.	ალექსანდრე ინწკირველი	1981
6.	ოლეგ გველესიანი	1980
7.	გიორგი ადამია	1981
8.	ლაშა ნოზაძე	1980
9.	დავით დოლიძე	1980
10.	დავით ბოლქვაძე	1980
11.	დავით დიღმელაშვილი	1980
12.	ვლადიმერ გოჩაშვილი	1976
13.	ერეკლე მერებაშვილი	1982
14.	თენგიზ კობიაშვილი	1975
15.	ოთარ მარცვალაძე	1983
16.	დავით იმედაშვილი	1984
17.	ზვიად ლაბაძე	1982

მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე

„ლოკომოტივი“ თბილისი



ბაადრი კბილაძის ფოტო

რევაზ არველაძეს შემადგენლობის დასადგენად დრო ორშაბათამდე აქვს

„სიონი“ ბოლნისი

1.	თემურ ვოლკოვი	1971
2.	ავთანდილ ლაბაძე	1973
3.	გიორგი ირემაშვილი	1976
4.	დავით ბაქრაძე	1979
5.	დავით ჭიჭვეიშვილი	1975
6.	გელა ფანჩულიძე	1968
7.	შალვა ხუჯაძე	1975
8.	ზაზა კვეკვესკირი	1976
9.	იური გაბისკირია	1972
10.	ვალტერ გუჩუა	1975
11.	გიორგი გაბიდაური	1979
12.	კახაბერ დაუშვილი	1973
13.	ალექსანდრე კოშკაძე	1981
14.	შალვა ისიანი	1978
15.	ბესიკ შენგელია	1977
16.	გიორგი შენგელია	1979
17.	ჰამლეტ წივწივაძე	1974
18.	ბორის გონჩაროვი	1979

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

„კოლხეთი“ ფოთი

1.	ბიძინა ჩემია	1980
2.	ზურაბ ბათიაშვილი	1980
3.	ზაველ ღაღანიძე	1972
4.	კახა გოროზია	1972
5.	დავით ნარსია	1982
6.	ლევან აკობია	1980
7.	გიორგი კრასოვსკი	1979
8.	მიხეილ თაყაძე	1979
9.	შალვა ღონღლაძე	1978
10.	დავით გოდერძიშვილი	1973
11.	თეიმურაზ მალანია	1983
12.	ვალერი გაგუა	1980
13.	თეიმურაზ ტულუში	1972
14.	მიხეილ ქობულაძე	1974
15.	ილია ქუტიძე	1975
16.	ზურაბ მინდაძე	1972

მწვრთნელი: გია ტყებუჩავა

„დილა“ გორი

1.	რამაზ სოღოლაშვილი	1977
2.	გიორგი ბალაშვილი	1973
3.	რევაზ ხაჭაპურიძე	1974
4.	გიორგი ლომიძე	1977
5.	ზაზა ლაცაბიძე	1975
6.	როინ მარღიშვილი	1971
7.	ალბერტ საყვარელიძე	1982
8.	არჩილ ოლგესაშვილი	1982
9.	სბა სულთანიშვილი	1979
10.	ალექსანდრე კაიდარაშვილი	1978
11.	ბექა ჩიტაია	1980
12.	კობა ხანიშვილი	1984
13.	გიორგი მასურაშვილი	1984
14.	დავით ჯობაძე	1981
15.	მერაბ ძოძუაშვილი	1980
16.	თამაზ ილურიძე	1975
17.	ლუკა რაზმაძე	1983
18.	ლევან გოჩაშვილი	1979
19.	გაგა ჩიტაია	1978
20.	გიორგი რევაზიშვილი	1977
21.	დავით ხანიშვილი	1982

მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

„ბათუმი“

1.	ზურაბ ქვაჩახია	1973
2.	ივანე მახარაძე	1970
3.	ზურაბ დუმბაძე	1984
4.	არჩილ რომანაძე	1980
5.	დიმიტრი ფირცხალაიშვილი	1981
6.	კახა კობიძე	1978
7.	ოთარ კაჭარავა	1984
8.	ვიტალი დარჩიძე	1981
9.	კახა ქაცარავა	1981
10.	ნიკა გუშარაშვილი	1983
11.	ბესიკ თედორაძე	1982
12.	ირაკლი შენგელია	1981
13.	ნუკრი მანჩხავა	1982
14.	ზაზა ბეჟანიძე	1981
15.	მამუკა სალუქვაძე	1981
16.	ნიკა ფურცხვანიძე	1983
17.	ბეგლარ თედორაძე	1983

მწვრთნელი: ასლან ბალაძე

„თბილისი“

1.	რევაზ ნაჭყეპია	1972
2.	გიორგი გაბელია	1977
3.	გოგა ნადირაშვილი	1983
4.	თორნიკე აფციაური	1979
5.	გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე	1984
6.	მიხეილ მესხი	1978
7.	სულიკო დავითაშვილი	1977
8.	გურამ ხარებავა	1979
9.	რამაზ კიკაჩეიშვილი	1983
10.	ილია მალაზონია	1983
11.	აკაკი მიკუჩაძე	1980
12.	გიორგი ლოლაძე	1980
13.	გოჩა ხოჯავა	1985
14.	კახა სიდამონიძე	1971
15.	გიორგი მემარნიშვილი	1982
16.	გოგიტა გოგუა	1983
17.	ბესიკ მიქიაშვილი	1985
18.	ლაშა ჯაკობია	1980
19.	გივი კვარაცხელია	1979

მწვრთნელი: თემურ ლორთქიფანიძე

„სპარტაკი“ თბილისი

1.	ალექსანდრე ჩომახიძე	1980
2.	ბექა შეყრილაძე	1983
3.	გიგა ჟვანია	1982
4.	თემურ წურწუმია	1984
5.	თენგიზ ჩიკვილაძე	1983
6.	მიხეილ კოტრიკაძე	1986
7.	დიმიტრი ტატანაშვილი	1983
8.	ლაშა ეგაძე	1981
9.	გრიგოლ დოლიძე	1982
10.	შუქრი დონდოლაძე	1985
11.	დავით სულაქველიძე	1982
12.	გიგა კვერენჩხილაძე	1986
13.	რევაზ კუკულაძე	1984
14.	გიორგი ბარამიშვილი	1984
15.	ლაშა ჯანგიძე	1983
16.	კახა ალადაშვილი	1983
17.	ალექსანდრე იმნაიშვილი	1985
18.	ირაკლი ებანოიძე	1983
19.	ბორის შელია	1982

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

„მერცხალი“ ოზურგეთი

1.	გია გოგუა	1970
2.	გიორგი ილურიძე	1976
3.	კახა როხაძე	1974
4.	მერაბ მეავანაძე	1963
5.	გოჩა წივწივაძე	1970
6.	გოდერძი კვირკვია	1976
7.	რამაზ ასკურავა	1981
8.	მიხეილ კობაური	1982
9.	ჯუმბერ კალანდაძე	1969
10.	დავით სიამაშვილი	1980
11.	გელა ბართია	1984
12.	დავით სევასტოპულო	1982
13.	დავით ხუჭუა	1973
14.	შოთა მანჯავიძე	1983
15.	ირაკლი რუხაძე	1982
16.	ლევან გრიგორიევი	1973
17.	ნოდარ კალანდარიშვილი	1983
18.	დავით მარგალიტაძე	1982
19.	მალხაზ ჭინჭარაული	1977
20.	კახა ებრალიძე	1977

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

„მცხეთა“

1.	თამაზ ოდიკაძე	1978
2.	გიორგი ცინცაძე	1982
3.	გიორგი ჩიტაური	1978
4.	გიორგი მუშუქია	1983
5.	თემურ რაქვიაშვილი	1983
6.	გიორგი ქებაძე	1981
7.	ლევან მელიქია	1982
8.	ოთარ მგელაძე	1981
9.	ლაშა ქებაძე	1983
10.	ვლადიმერ ძაგნიძე	1983
11.	ლევან ჩაჩუა	1981
12.	თემურ თირქია	1980
13.	ლაშა კირვალიძე	1983
14.	მერაბ არეშიძე	1980
15.	ბექა ნოზაძე	1982
16.	გიორგი ღამბაშიძე	1980
17.	თემურ ჯაფარიძე	1981
18.	ლევან ბოჭორიშვილი	1982
19.	კახა ბედუკაძე	1984

მწვრთნელი: ვლადიმერ პანოვი



გუშინ გაირკვა, რომ „დანდიდან" რეინჯერსულად დაწინაურებული ზურაბ ხიზანიშვილი და „რეინჯერსში" მესამე სეზონს მოთამაშე შოთა არველაძე ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად „ჯოპენჰაგენ" – „სლიმას" შორის გამარჯვებულს გაეჯიბრებიან. ქართველ აიბროქსელებს სწორედ წილნაყარი მეტოქეების შესახებ ვთხოვეთ ჯომენტარი, ხოლო ზურაბს სხვა ამბებიც გამოვკითხეთ

რეინჯერსი დიდთან დიდია, პატარასთან პატარა



შოთა არველაძე: თუ ჩემპიონთა ლიგაში თამაში გინდა, „ჯოპენჰაგენი" იქნება თუ „სლიმა", ორივეს უნდა მოეგო. რაც შეეხება იმას, რომ პირველ მატჩს შინ ვთამაშობთ, ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. წილისყრის შედეგები „რეინჯერსში" ჩვეულებრივად აღვიქვით. ალბათ „ჯოპენჰაგენთან" მოგვიწევს თამაში.

ზურაბ ხიზანიშვილი: რა თქმა უნდა, აქცენტს უფრო „ჯოპენჰაგენზე" გავაკეთებთ. თუმც ზოგადად ურიგო გუნდი არცერთია — ისინი ხომ უკვე მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე არიან. კი მაგრი ბრძოლა გველის — ერთი ეტაპის გადალახვა და უკვე ჩემპიონთა ლიგაში ხარ.

— ესე იგი, რეინჯერსელებს წილისყრის შედეგები არ გაგიხარდათ...

— არანაირი სიხარული არ ყოფილა. უბრალოდ, ფეხბურთელებმა უპირატესობა „ჯოპენჰაგენს" მივანიჭეთ. ჩემპიონთა ლიგისთვის ფსიქოლოგიურად კარგად უნდა მოვემზადოთ — ეს ერთობ მნიშვნელოვანი იქნება.

— „ჯოპენჰაგენი" რომ შეგვხდეთ, შანსებს როგორ შეაფასებდი?

— შესაძლოა, უპირატესობა ჩვენს მხარეს იყოს, მაგრამ ჩვენ ყველა თამაშზე შანსები 50/50-ზე უნდა შევაფასოთ.

— ვარჯიშზე დაშავებულხარ...

— ნაპერაციევ ფეხზე მყესები დამეჭიმა და ახლა მხოლოდ ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. გუნდთან ერთად კი ერთ კვირაში შევუდგები წვრთნას.

— აიბროქსელმა გულშემატკივრებმა უკვე გაგიცნეს?

— ისინი სულ დადიან „რეინჯერსის" ვარჯიშებზე. მე და გუნდის პორტუგალიელ ახალწვეულ ნუნო კაპუჩოს უკვე გამოგველაპარაკნენ. ზოგადი საუბარი იყო, კეთილი იყოს შენი მოსვლა „აიბროქსზეო".

— ბინა თუ მოგცეს გლაზგოში?

— ჯერჯერობით სასტუმროში ვცხოვრობ და ბინას ვარჩევ, რომელიც მომეწონება, იქ ვიცხოვრებ. 3-4 ბინა უკვე ვნახე, მაგრამ არ მინდა ვიჩქარო.

დავით თავართქილაძე



მიხეილ აშვეთიას და მალხაზ ასათიანს შანსი აქვთ, ჩემპიონთა ლიგა მოსინჯონ. გუშინ ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრამ მოსკოვის „ლოკომოტივს" მეტოქედ „შერიფ" — „შახტარის" წყვილში გამარჯვებული არგუნა. რკინიგზელთა მეტოქე თითქმის გარკვეულია. მოლდოვური „შერიფი" უკრაინული გრანდის შემჩერებელი არ ჩანს.

გუშინვე „ლოკომოტივის" ქართველ თავდამსხმელ მიხეილ აშვეთიას მოსკოვში შევეხმიანეთ...

იძნება შახტარი, რომელსაც მოვუგებთ

— დარწმუნებული ვარ, ჩვენი მეტოქე „შახტარი" იქნება. მოლდოველები ამ ეტაპის გამვლელნი არ არიან. „შახტარის" ძალა კი ყველამ იცის. საკმაოდ კარგი გუნდია და ძნელი თამაში გველის.

— როგორ ფიქრობ, წილისყრისას გაგიმართლათ თუ უკეთესი ვარიანტიც შეიძლებოდა?

— უკეთესზე ფიქრი უკვე სისულელეა. მე პირიქით ვფიქრობ, უარესის შეხვედრის შანსი იყო მეტი. მგონი, „შახტარი" კარგი ვარიანტია. ეს ეტაპი უნდა გადავლახოთ.

— გინახავს „შახტარის" თამაში?

— კიევში ლობანოვსკის ხსოვნის ტურნირზე ვნახე, მაგრამ აქედან დასკვნების გაკეთება უაზრობა მგონია. ჩემპიონთა ლიგა სხვა რამეა. სახიფათო მეტოქე გვყავს, მაგრამ მისი დამარცხება შეგვიძლია. ვეცდები, შანსი ხელიდან არ გავუშვა და ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშო.

ძახა შალამბერიძე

ქინქლაძე: თუ სელტიკი არა, მაშინ პორტსმუთი

სადაც გიომ უკვე ივარჯიშა

გუშინ გიორგი ქინქლაძემ პრემიერლიგაში აღზევებულ „პორტსმუთში" პირველად ივარჯიშა — „ქინქიმ" პრემიერლიგური ვარჯიში კი გაიხსენა, მაგრამ „პორტსმუთში" ვინძლო არც დარჩეს.

საქმე ისაა, რომ ქინქლაძეს და მის აგენტ ივან ბენეშს კვლავაც აქვთ იმედი, რომ გლაზგოს „სელტიკს" გაურიგდებიან.

თავად ფეხბურთელის პოზიცია კი ასეთია — „სელტიკის" ვარიანტს ერთი კვირა დაელოდება და თუ აქედან არაფერი გამოვა, დამდეგ სეზონში ალბათ „პორტსმუთში" ითამაშებს.

დავით თავართქილაძე



ბაბრი ჯეთლაძის ფოტო



ცოტა ხნის წინ გრაცის „შტურმის" ქართველმა ნახევარმცველმა დავით მუჯირმა გვითხრა, ტრავმის გამო საწვრთნელი შეერება თითქმის გამიცდა და ალბათ სექტემბრამდე „შტურმში" არ გამოვჩნდებიო. რა იცოდა მაშინ მუჯირმა, გრაცელთა ახალი მწვრთნელი, შვეიცარიელი ჟილბერ გრესი ასე თუ ენდობოდა. ერთი სიტყვით, უვარჯიშებელი და ჯერაც გამოუჯანმრთელებელი ქართველი ნახევარმცველი „შტურმს" მეორე ტურშივე, „ჟერნტენთან" მატჩში დაეხმარა. მუჯირის თამაში არც დღეს, დებიუტანტ „მატერსბურგთანაა" გამორიცხული. ჟილბერ გრესი (ადრე გოჩა ჯამარაულს და მიხეილ ყავლაშვილს რომ წვრთნიდა), როგორც ჩანს, „მუმეს" თვალდახუჭული ენდობა...

ამას დავით მუჯირის ნაუბარიდანაც შეიტყობთ, ის გუშინ მოვიხელთეთ...

მუმუ ლაითი

გრესმა თვალები დახუჭა და მუჯირი დაინახა

— შენი მოედანზე გამოჩენა ჩვენთვის ძალიან მოულოდნელი იყო...

— თქვენ კი არა, მეც გაკვირვებული ვარ. ამდენი ხანია, სრული დატვირთვით არ მივარჯიშია და უცებ მოედანზე გავედი. მწვრთნელმა იშვიათი ნდობა გამომიცხადა და „ჟერნტენთან" თხუთმეტიოდე წუთი ვითამაშე.

— ფეხი აღარ გაწუხებს?

— არ მტკივა, მაგრამ ფაქტია, ჯერ მოშუშებული არაა. სრული დატვირთვით ვარჯიში აკრძალული მაქვს.

— კი მაგრამ, ასე მოუმზადებელი როგორ გათამაშა?

— არ ვიცი. მატჩამდე მითხრა, თუ დამჭირდი, გათამაშებო.

— ესე იგი, გარისკე? არ გეშინია, რომ ამით უფრო მეტად იზარალო?

— არა, მასეც არაა საქმე. ექიმებისგან ნებართვა აღებული მაქვს, ოღონდ დატვირთვას უნდა მოვერიდო. აი, ასეთ ვითარებაში მიწევს თამაში.

— ეტყობა, ჟილბერ გრესს შენი ძალიან სჯერა...

— ასე გამოდის. თავად მითხრა, როგორც გინდა, ისე ივარჯიშე. თავს გაუფრთხილდი და მალე გამოჯანმრთელდიო. მეც მსუბუქად ვვარჯიშობ და ალბათ მალე ტრავმას საბოლოოდ მოვიშუშებ.

— და მანამდე ასე მტკივანი ფეხით უნდა ითამაშო?

— ეს უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია. ხვალ „მატერსბურგს" ვეთამაშებით და განაცხადში უკვე შეყვანილი ვარ. თუ საჭირო იქნება, ისევ ვითამაშებ.

— ექიმები რას გეუბნებიან, როდის გამოჯანმრთელდები სრულად?

— ზუსტად ვერაფერი მითხრეს. მხოლოდ ის ვიცი, რომ თუ მცირე ტკივილიც ვიგრძენი, ვარჯიში უნდა შეეწყვიტო. დანარჩენი დროის ამბავია.

ძახა შალამბერიძე

ივლისის თამაში

თბილისის „დინამომ" თავისი მორიგი ევროპული სეზონი დაამთავრა. გაიტანა სამი, გაუშვა სამი და კიდევ ერთი წლით გადადო თუნდაც უეფას თასზე მოხვედრის იმედი, რომელსაც იმედი ძნელად თუ დაერქმევა. ზოგჯერ ყოფილა ხოლმე, რომ ახალი დროის „დინამოს" ოქტომბრის შუამდე გადაუწევია თავისი ევროპული თამაშები, მაგრამ ბოლოხანს ეს ამბავი აგვისტოში მთავრდებოდა ხოლმე. ახლა ივლისში დამთავრდა.

ჩვენ არ გვინახავს გასვლითი თამაში „ტირანასთან", რომელმაც კიდევ ერთხელ გააქრო ილუზია, რომ „დინამო" რაღაც ამბავში რჩებოდა მაინც გაფაფხურდება, რახან შინ სამი უპასუხო გოლი გაუტანია. არ გვინახავს, მაგრამ პრესას, ცხადია, ვენდობით და ამ თამაშის მხილველ კორესპონდენტებს, რომლებიც გვუბნებიან, რომ „დინამომ" ორი გადაბმული პასის გაკეთებაც კი რამდენჯერმე ძლივს მოახერხა.

საერთოდ, სტუმრად თამაში თბილისის „დინამოს" არასოდეს ეხერხებოდა, თუ, რა თქმა უნდა, გამოკვეთილად სუსტ გუნდს არ ხვდებოდა. ამით გამართლებას კი არ ვცდილობ, უბრალოდ, მახსენდება, როგორ აგებდა ხოლმე ჩვენი გუნდი წლიდან წლამდე კიევში, მოსკოვში, მინსკში, ლვოვში და ალმა-ათაშიც კი. საუკეთესო გასვლითი თამაში „ვესტ ჰემთან" იყო. არა, „დინამო" იგებდა კიდეც სტუმრად და ევროთასებზეც თავის საუკეთესო წლებში მშვენიერი თამაშები გამოსვლია უცხო ქალაქებში, მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს სახლის გუნდი იყო — ერთი იყო შინ და მეორე გარეთ.

თუმცა, ახლა „დინამო" შინაც და გარეთაც ერთია. „ტირანას" რომ 3:0 მოუგო, ის თამაში, უბრალოდ, ასე აეწყო. ალბანელებმა პენალტიც კი ვერ გაიტანეს. აბა, ვინ იტყვის, რომ „ტირანა" თუნდაც საშუალო ძალის გუნდია? ეს არის უბრალო გუნდი, რომელიც რაღაცას ხლაფორთობს. მაგრამ თუ „ტირანა" ასეთია, მაშინ რაღა გამოდის „დინამო"? „დინამოც" უბრალო გუნდია, რომელმაც „ტირანამ" თითქოსდა მხოლოდ პენალტებით აჯობა. მაგრამ „ტირანამ" მხოლოდ პენალტებით არ აჯობა „დინამოს", მას სამი ბურთით ჰქონდა წაგებული და ეს სამი ბურთი ამოიღო. ყველამ პატიოსნად უპასუხოს, შეძლებდა თუ არა ამას „დინამო", სამი ბურთი რომ ჰქონოდა გასატანი საპასუხო მატჩში. განსხვავებაც ამ ორ გუნდს შორის ეს არის. ამიტომაც გავიდა „ტირანა", რომელსაც კლასს გულისჯიბეში შენახულსაც ვერ ვუპოვიდით, მაგრამ სად არის „დინამოს" კლასი? სულ ერთი ბეწო, განა რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი.

არ არის. არადა, „დინამომ" სერიოზული შეკრება გაიარა გერმანიაში.

მგონია, რომ „გრაცის" მეორე მწვრთნელს გუნდიდან დაითხოვენ. თბილისური მატჩის შემდეგ მან თქვა: „ჩვენ „ტირანა" აღარ გვაინტერესებს". აბა, ის ყოფილა გარკვეული კაცი. თუმცა, ჩვენი ფეხბურთის უბედურებებში გარკვეულობას რატომ ვთხოვ?

ᩮᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ 2003-2004

III ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲡᲬᲠᲐ

ᲐᲘᲐᲥᲡᲔᲚᲔᲑᲘ: „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲐᲒᲕᲪᲓᲐ? ᲐᲑᲐ, ᲒᲐᲕᲐᲚᲗ!

ᲪᲡᲙᲐ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) ᲐᲜ ᲕᲐᲠᲓᲐᲠᲘ (ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐ) — ᲡᲞᲐᲠᲢᲐ (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ)
ᲛᲢᲙ (ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘ) ᲐᲜ ᲰᲘᲙ (ᲤᲘᲜᲔᲗᲘ) — ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲘ (ᲚᲘᲢᲕᲐ) ᲐᲜ ᲡᲔᲚᲢᲘᲙᲘ (ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ)
ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ (ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ) — ᲙᲝ�პᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ (ᲓᲐᲜᲘᲐ) ᲐᲜ ᲡᲚᲘᲛᲐ (ᲛᲐᲚᲢᲐ)
ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ (ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ) — ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲘ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ)
ᲑᲠᲘᲣᲒᲔ (ᲑᲔᲚᲒᲘᲐ) — ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ)
ᲨᲔᲠᲘᲤᲘ (ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ) ᲐᲜ ᲨᲐᲮᲢᲐᲠᲘ (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ) — ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ)
ᲚᲐᲪᲘᲝ (ᲘᲢᲐᲚᲘᲐ) — ᲒᲔᲜᲨᲘᲰᲐ (�პᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ)
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ) — ᲛᲐᲠᲘᲒᲝᲠᲘ (ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ) ᲐᲜ ᲓᲘᲜᲐᲛᲝ (ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ)
ᲒᲝᲣᲰᲔᲛᲘᲐᲜᲘᲡᲘ (ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ) ᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲜᲑᲝᲠᲒᲘ (ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ) — ᲓᲔᲰᲝᲠᲢᲘᲕᲝ (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ)
ᲑᲠᲐᲡᲰᲞᲔᲠᲘ (ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ) — ᲐᲪᲙ (ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ)
ᲖᲘᲚᲘᲜᲐ (ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ) ᲐᲜ ᲛᲐᲙᲐᲑᲘ (ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ) — ᲩᲔᲚᲡᲘ (ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ)
ᲡᲔᲚᲢᲐ (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) — ᲚᲔᲝᲢᲐᲠᲘ (ᲑᲝᲡᲜᲘᲐ) ᲐᲜ ᲡᲚᲐᲕᲘᲐ (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ)
ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ (ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ) ᲐᲜ ᲘᲣᲠᲒᲝᲠᲓᲔᲜᲘ (ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ) — ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚᲘ (ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ)
ᲒᲐᲚᲐᲗᲐᲡᲐᲠᲐᲘ (�თᲣᲠᲥᲔᲗᲘ) — ᲰᲝᲣᲜᲘᲙᲘ (ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ) ᲐᲜ ᲪᲡᲙᲐ (ᲑᲣᲚ�გᲐᲠᲔᲗᲘ)
ᲠᲐᲞᲘᲓᲘ (ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ) ᲐᲜ ᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲮᲢᲘ (ᲑᲔᲚᲒᲘᲐ) — ᲕᲘᲡᲚᲐ (ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ) ᲐᲜ ᲝᲛᲝᲜᲘᲐ (ᲙᲥᲘᲞᲠᲝᲡᲘ)
ᲢᲘᲠᲐᲜᲐ (ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘ) ᲐᲜ ᲒᲠᲐᲪᲔᲠᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ) — ᲐᲘᲐᲥᲡᲘ (ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ 12-13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ, ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲝᲕᲔᲑᲘ — 26-27 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ

ᲐᲘᲐᲥᲡᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲐ ᲒᲘᲜᲓᲝᲓᲐᲗ?

ᲘᲥᲐᲛᲓᲔ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲔᲢᲧᲘᲜᲝᲗ

ᩮᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲘᲡ შესარჩევ, თუნდაც მესამე ეტაპს, თუ შეიძლება ცენტრალური და სარეკლამო მატჩი ჰქონდეს, ეს „ლაციო“ — „ბენფიკაა“. დიახ, „ბენფიკა“, თასის ოდინდელი მფლობელი, მაინცდამაინც იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს გადაეკიდა, მაშინ როდესაც:

თასის ოთხგზის მფლობელი, „აიაქსი“, იცით ვის ელის? დიახ, ავსტრიულ „გრაცერს“ და — მოიკრიბეთ მხნეობა ამის წასაკითხად, — ალბანურ „ტირანას“ შორის გამარჯვებულს.

„გალათასარაი“ სოფიის ცსკა-ს და სომხური „პუნიკის“ წყვილში უკეთესს შეხვდება, ხოლო ლიგის 1997 წლის გამარჯვებული, დორტმუნდის „ბორუსია“ „ბრიუგესთან“ გაარკვევს „მტყუან-მართალს“.

ვის ხვდება რომან აბრამოვიჩი?.. უკაცრავად, ლონდონის „ჩელსი“? „ჩელსი“ ან აბრამოვიჩის ისტორიული სამშობლოს წარმომადგენელს, „მაკაბის“ გადაეყრება ან სლოვაკთა „ზილინას“ და მისთვის უკეთესი იქნება თუ 2001 წლის ნოემბერს მოიგონებს, როდესაც აბრამოვიჩის ისტორიული სამშობლოს სხვა წარმომადგენელმა, თელ-ავივის „ჰაპოელმა“ უეფას თასიდან გამოაგდო.

„ნიუკასლ იუნაიტედი“ და მისი ჭარმაგი, სიმპათიური მწვრთნელი ბობი რობსონი ბელგრადის „პარტიზანსა“ და შვედურ „იურგორდენს“ შორის მოგებულის მოგებაზე ფიქრობენ, ხოლო ქართველი ფეხბურთელები, ანუ „რეინჯერსი“, შოტლანდიიდან მალტის „სლიმა უონდერერზსა“ და „კოპენჰაგენს“ შორის უკეთესს ხვდება.

„სელტიკი“ — უეფას თასზე ახლახან ფინალში რომ იყო და ბრიტანელთაგან პირველმა რომ მოიგო ჩემპიონთა თასი 1967 წელს, უნგრულ მტკ-ს და ფინურ ჰიკ-ს შორის გამარჯვებულს ელის, ოღონდ იქამდე „კაუნასი“ უნდა დაამარცხოს.

თამაშები გაიმართება 12-13 და 26-27 ავგსიტოს, შემდეგ კი ყველამ ვიცით რა მოხდება: 32 გუნდისგან შეიკვრება 8 ჯგუფი, საიდანაც ორ-ორი მერვედფინალს მოაწყობს და ასე, მაისამდე.

ᲑᲐᲐᲣᲜᲐ ᲙᲔᲓᲘᲐ

ᲙᲘᲜᲘᲡᲙᲐᲛ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲔᲠᲐᲛ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲭᲣᲢᲔᲡ ᲜᲔᲢᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲠᲔᲣᲚᲐᲓ ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜ ᲨᲔᲜᲓᲐᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲘ, ᲐᲛᲑᲐᲕᲘ: რუსეთის ნაკრების ყოფილი მოთამაშე დენის ლოკტიონოვი სამხრეთ კორეის მოქალაქე გახდა. ამიერიდან მისი სახელი ნამ სეონგ ლი იქნება. 26 წლის ნახევარმცველი იქაურ კლუბ „სეონგამ ილხა“-ში თამაშობს და კორეელთა თხოვნას, მათი ქვეყნის მოქალაქეობა მიეღო, დაყაბულდა.

ახალი გვარსახელით იგი უკვე ამ უქმეებზე ითამაშებს, როცა მისი გუნდი „ტაეჟონ სიტიზენს“ შეხვდება.

„მე კორეაში ცხოვრებით ძალიან კმაყოფილი ვარ — თქვა სეონგ ლიმ — თანაგუნდელებთან ურთიერთობები ავაწყვე და გადავწყვიტე, კარიერა აქ გავაგრძელო და დავასრულო“.

ეს უკვე მეორე რუსი ფეხბურთელია, რომელმაც კორეის მოქალაქეობა მიიღო. ვალერი სარიჩევმა უფრო ადრე მოახერხა გაკორეელება და მას სონ უი შინი დაარქვეს, რაც „ღმერთის ხელებს“ ნიშნავს.

დენის ლოკტიონოვს როდის გაუკეთებენ თვალების ოპერაციას, ჯერჯერობით უცნობია.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲒᲐᲖᲐᲔᲕᲛᲐ ᲒᲘᲜᲔᲙᲝᲚᲝᲒᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲢᲧᲣᲰᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲚᲛᲐᲪ ᲓᲐᲘᲩᲮᲐᲕᲚᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ XVIII ᲢᲐᲠᲘ

ᲪᲡᲙᲐ 2:0 ᲣᲠᲐᲚᲐᲜᲘ

1:0 ლაიზანსი (54), 2:0 კირიჩენკო (74)

ᲣᲠᲐᲚᲐᲜᲘ: ფილიმონოვი, დალ კანტო, ვორნიეში (ლოპესი 77), გერაშჩენკო, სემოჩკო (მარტინესი 62), კოლოდინი, ცალაგოვი (კუზმინი 82), აჯინჯალი, ბოჩკოვი, პასონი, ᲗᲔᲗᲠᲘᲐᲫᲔ

ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ-ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ 0:1 ᲖᲔᲜᲘᲢᲘ

0:1 ვლასოვი (87)

ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ-ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ: ლავრენცოვი, რეხვიაშვილი, ჯიაუკშტასი, რიზვიჩი, კოლესნიჩენკო (ნეფჩენკო 61), ბრაკამონტე (მოვსესიანი 63), ოსეპიანი, ბელეცკი (ლეონოვი 79), პინტო, მონარიოვი, ცელიშჩაკი

ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ შვიდი წაუგებელი მატჩის შემდეგ საეჭვო იყო, რომ „ურალანი“ ცსკა-საც საკადრისად შეეწინააღმდეგებოდა. ელისტელებისთვის ალბათ მთავარია უშუალო კონკურენტებთან ქულების აკენკვა და ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

„ურალანს“ ცსკა მხოლოდ ერთხელ, 2000-ში დაუმარცხებია. მაშინ ათმატჩიანი მოუგებელი სვლა ყალმუხებმა მოსკოვში არმიელთა 2:0 ძლევით დაასრულეს.

საინტერესოა, რომ მაშინ ელისტელთა ახალდანიშნული მწვრთნელი ალექსანდრ ირხინი, რომელმაც გუნდი მოასულიერა, მოსკოვში გამარჯვების შემდეგ- გაათავისუფლეს. მის ნაცვლად სერბი ბორის ბუნიაკი დანიშნეს, რომლის თამადობითაც „ურალანმა“ იმ წელს დარჩენილი მატჩებიდან ერთიც ვერ მოიგო და ქვედა დივიზიონში გრიალით გავარდა.

ამჟამინდელ მწვრთნელ იგორ შალიმოვს ალექსანდრ ირხინის ბედი არ ელის, რადგან კირსან ილუმჟინოვი ენდობა, მიუხედავად იმისა, რომ შალიმოვის შეგირდებმა ჩემპიონატი ამაზრზენად დაიწყეს.

ცსკა-მ მეტოქეს უმალ შეუტია და დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში სტუმრებს საკუთარი საჯარიმოდან ცხვირი არ გამოუყვიათ. კვლავ სემაკისა და იაროშიკის გარეშე მოთამაშე მოსკოველებს სუსტ „ურალანთან“ ლიდერების არყოფნა დიდად არ ეტყობოდათ.

უკვე მესამე წუთზე გუსევის პასს პოპოვმა თავი შეაგება. ბურთი კარის ხაზიდან ფილიმონოვმა გამოაძრო. ელისტელები აჯინჯალ-გიგიაძის წყვილით უტევდნენ, მაგრამ მათ აკინფეევი მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ. გიგიაძემ ერთ ეპიზოდში ძმები ბერეზუცკების შეცდომით ისარგებლა და თავურიც დაჰკრა, მაგრამ კარს ააცილა. მაყურებლისთვის რაიმე თვალსაჩინო პირველ ტაიმში არ მომხდარა.

შესვენების შემდეგ ვალერი გაზაევმა ტყუპი ძმები ბერეზუცკები წყვილად შეცვალა და მათ მაგიერ უფრო შეტევაზე დაგეშილი ლაიზანსი და ევსიკოვი შეიყვანა.

ორმაგმა ცვლილებამ მასპინძლები მალევე ახეირა. მეორე ნახევარი ათი წუთის დაწყებული იყო, როცა კირიჩინკომ სვლააკრეფილ ლაიზანსს ბურთი წაუმძღვრა, მისი დარტყმით კი ანგარიში გაიხსნა.

იგორ შალიმოვმა შეტევის გაძლიერება სცადა და რუსეთში პირველი ვენესუელელი ლეგიონერი მარტინესი მოედანზე შეუშვა. ამ დროისთვის ცსკა ვითარებას სრულად აკონტროლებდა და „ურალანისთვის“ თუნდაც ერთი გოლის გატანა რთული იყო.

შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტიოდე წუთით ადრე კუთხურიდან გუსევის ჩაწოდებულ ბურთს კირიჩენკომ საგოლედ უთავაზა და „ურალანიც“ დანებდა. სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ შეაწუხეს მასპინძელთა მეკარე აკინფეევი, რომელმაც საჯარიმოდან კოლოდინის დარტყმული ბურთი ცხრიანიდან გამოაძევა.

ᲕᲐᲫᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ცსკა	19	12	4	3	37:22	40
დინამო	17	8	5	4	30:18	29
შინიკი	17	7	8	2	25:14	29
ზენიტი	18	8	5	5	23:22	29
სატურნი	17	7	7	3	22:14	28
კრილია	17	6	7	4	24:17	25
რუბინი	17	6	7	4	22:15	25
როსტოვი	17	6	6	5	19:24	24
ტორპედო	17	6	5	6	21:22	23
ლოკომოტივი	18	6	5	7	23:25	23
სპარტაკი	17	6	4	7	22:24	22
როტორი	17	5	4	8	21:24	19
ჩერნომორეცი	17	4	6	7	19:24	18
ურალანი	18	4	6	8	12:24	18
სპარტაკ-ალანია	17	4	0	13	10:31	12
ტ. მეტალურგი	18	2	5	11	12:22	11





ᲫᲛᲔᲑᲘ ᲑᲔᲠᲔᲖᲣᲪᲙᲔᲑᲘ: ᲕᲘᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ

30-ᲛᲔ ᲢᲐᲠᲘ: ᲰᲐᲚᲛᲨᲢᲐᲓᲘ — ᲒᲝᲗᲢᲔᲑᲝᲠᲒᲘ 1:0

იურგორდენი	15	10	1	4	35:13	31
ჰამარბი	14	8	4	2	21:14	28
ჰალმსტადი	15	8	2	5	26:18	26
მალმიო	14	7	4	3	24:13	25
აიკ	15	7	3	5	23:18	24
იორგრიტე	15	7	2	6	23:24	23
იორებრო	15	6	4	5	19:21	22
გოტებორგი	15	5	4	6	21:16	19
ჰელსინგბორგი	14	5	3	6	14:23	18
ელფსბორგი	14	4	5	5	16:21	17
ლანდსკრონა	14	3	6	5	15:19	15
სუნდსვალი	14	2	6	6	13:19	12
ენკოპინგი	15	2	4	9	15:30	10
ოსტერი	15	2	4	9	12:28	10

ᲐᲛᲑᲐᲜᲑᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲓᲘᲐᲛᲘ 1:2 ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚᲘ

0:1 შირერი (37Ჯ), 1:1 დევლინი (73Ჯ), 1:2 ამეობი (75)

ᲞᲔᲠᲣ 3:4 ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘ

0:1 ლიგერა (11), 1:1 ფარფანი (27), 2:1 მარენგო (47), 2:2 სოსა (50), 3:2 ფარფანი (57), 3:3 ლიგერა (72), 3:4 ნიკოლასი (79)

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲡᲐᲠᲒᲘᲔᲚᲘ-ᲨᲘ

Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

რონალდოს ბექემის ლაპარაკი კარგად გაუგია

მორცხვი დრაკონის ხახაში

„რეალის“ სპორტული დირექტორი, ხორხე ვალდანო ამბობს, რომ დევიდ ბექემს ახალ თანაგუნდელებთან საერთო ენის გამონახვა არ უჭირს. დავაზუსტოთ, აქ ესპანურ ენაზეა ლაპარაკი და არა ურთიერთგაგებაზე — ბექემი, რომელიც აქამდე ძირითადად ესპანურის სწავლით იყო დაკავებული, მადრიდელებთან ერთად სეზონისწინა სამზადისს შეუდგა.

„ფეხბურთის ენა უნივერსალურია“ — თქვა გატკეპნილი, მაგრამ მართალი ფრაზა ვალდანომ — ერთხელაც დავრწმუნდი, რომ მისი ჩამოყვანა სწორი ნაბიჯი იყო. ის წყნარი ადამიანია, მე ვიტყოდი, მორცხვიც კი. ყოფაქცევის თვალსაზრისით გუნდში ბექემი გყავს თუ ბორხა (სათადარიგო მცველია) დიდი განსხვავება არ არის.“

2 აგვისტოს, პეკინში, „რეალი“ „დრაკონს“ ეთამაშება და ბექემიც შესაძლოა, სწორედ ამ შეხვედრაში გამოჩნდეს „რეალის“ შემადგენლობაში პირველად. შემდეგ მოდის თამაშები „ტოკიოსთან“ და ჩინეთის ნაკრებთან ჰონკონგში. რაც შეეხება დებიუტს ესპანეთის ჩემპიონატში, იგი 31 აგვისტოს, მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“, „ბეტისთან“ შეხვედრაშია მოსალოდნელი.

ბუნებრივ ინტერესს იწვევს ბექემის „ელ კლასიკოში“ ნათლობის თარიღიც. ინებეთ: „ბარსელონა“ — „რეალი“ ახალ სეზონში პირველად 7 დეკემბერს, „კამპ ნოუზეა“ დანიშნული.

მაგრამ, ბექემი ბექემად და რონალდო შვებულებიდან ხუთკილოდაკლებული დაბრუნდა.

„ამ სეზონში ბევრი მიზანი მაქვს, თუმცა ზოგადად ამას ყველაფრის მოგება და ბევრი გოლის გატანა ჰქვია“ — თქვა ბრაზილიელმა.

ბაბუნა ძედია

კლოდ, ლონდონში გამდიდრდები. 20 ათასი რა მათხოვრობაა

„ჩელსი“ ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველის, რომაელი ემერსონის და მადრიდის „რეალში“ მოთამაშე ფრანგის, კლოდ მაკელელეს ყიდვას ცდილობს. ლონდონელთა ახალი პატრონის, რუსი ოლიგარქის, რომან აბრამოვიჩის თქმით, მისი მთავარი მიზანი 27 წლის ემერსონის გადაბირებაა (აბრამოვიჩი რომაელებს 15 მილიონ გირვანქას სთავაზობს) და როგორც ირკვევა, ამ იდეას ბრაზილიელიც ფრიად იწონებს — ამბობენ, საკითხს ნათელი 48 საათში მოეფინებაო.

„ჩელსის“ მწვრთნელი კლაუდიო რანიერი: „ახალ ტრანსფერებს ველი და ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი დროულად დასრულდება, რადგან მალაიზიაში შეკრებაზე წასასვლელად ჩემი მოთამაშეების სრული სიის ცოდნა მჭირდება.“

აღსანიშნავია, რომ 30 წლის კლოდ მაკელელეც დიდი მოლაპარაკებების ობიექტს წარმოადგენს, რადგან ეს ის ფეხბურთელია, რომელსაც „რეალში“, ყველას პლუს დევიდ ბექემის მიუხედავად, ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს. მაგრამ მაკელელესთან დაკავშირებით არის ერთი უხერხული საკითხი — მადრიდში მას სხვებზე ნაკლებს უხდიან. ახლა მაკელელე კვირაში მხოლოდ 20 ათას გირვანქას (საწყალი!) იღებს, ხოლო „ჩელსიში“ გადასვლის შემთხვევაში, შესაძლოა, ეს ჯამაგირი გაუორმაგდეს (ბედნიერი!).

შეგახსენებთ, „ჩელსის“ უკვე ნაყიდი ჰყავს ჯერემი, გლენ ჯონსონი, უეინ ბრიჯი და დემიენ დაფი, მაგრამ „ჩელსიმ“ სცადა და ვერ იყიდა ედგარ დავიდსი და ხუან ვერონი, „იუვენტუსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედისგან“.

და ბოლოს, 25 წლის ფრანგმა მცველმა უილიამ გალასმა ლონდონელებთან კონტრაქტი 2004 წლამდე გაგრძელა.

ბაბუნა ძედია



ბედნიერება ეგებ საწყალ კლოდ მაკელელესაც ეღირსოს

რონალდინიომ „ბარსელონაში“ გადასვლის სიხარული უკვე თავის ოჯახსაც გაუზიარა, როცა მშობლიურ პორტუ ალეგრეში, როგორც კატალონიური გრანდის ფეხბურთელი, პირველად ჩავიდა.

წინ კი დიდი იმედებით აღსავსე სამომავლო პრიმერადივიზიონია. „ბარსას“ მე-10 ნომერს ესპანური „ელ მუნდო დეპორტივოს“ ჟურნალისტი გაესაუბრა

კაბინეტური ფეხბურთი

რონალდინიომ ლაპორტას ალბათ ავეჯიც დაუმტვრია

— „ბარსელონაში“ გადასვლის პირველ დღეებში ყველაზე მეტად რას გრძნობდით?

— თამაშის რაც შეიძლება მალე დაწყების დაუძლეველ სურვილს. ფანტასტიკურად ვარ. იმ წუთიდან, რაც კონტრაქტს ხელი მოვაწერე, ყველაფერი დიდებულად მიდის. ნამდვილად არ ველოდი, თუ „კამპ ნოუზე“ ჩემს გასაცნობად ამდენი ხალხი მოვიდოდა. ზღაპარში მეგონა თავი, მათ სიყვარულსა და პატივისცემას იგივენაირად უნდა ვუპასუხო, რაც ჩემგან ერთი რამით შეიძლება გამოიხატოს — ფეხბურთის ლამაზად თამაშით. ახლა ბრაზილიაში საქმეების მოსაგვარებლად ჩამოვედი, შაბათს კი უკვე ბოსტონში ვიქნები ჩემს ახალ თანაგუნდელებთან ერთად.

— მათ შესახებ რისი თქმა შეგიძლიათ?

— ბარსელონაში მხოლოდ ერთხელ ვარჯიში მოვასწარი. ყველაზე მეტი რომან რიკელმესთან ვილაპარაკე. ცხოვრებაზე, პრიმერადივიზიონზე, „ბარსაზე“. პორტუ ალეგრე, სადაც ჩემი ოჯახი ცხოვრობს, არგენტინის საზღვართან ახლოს არის და ამიტომაც, იქაურები „ბოკა ხუნიორსსაც“ გულშემატკივრობენ. რიკელმეს თამაშს ჯერ კიდევ „ბოკადან“ ვადევნებ თვალყურს.

— რას წარმოადგენს რიკელმე, როგორც ფეხბურთელი?

— ბრწყინვალე პროფესიონალია, ნამდვილი ფენომენი. ბურთს დემონივით მოხერხებულად ატრიალებს. მისგან ნებისმიერი ფეხბურთელი ბევრ რამეს ისწავლის.

— იცით, რომ მასთან კლუბს არაევროკავშირელთა გადაჭარბებული ლიმიტის გამო განშორება მოუწევს, რისი ფორმალური მიზეზიც თქვენ ხართ?

— როგორ? ეს არ გამიგია. კლუბის საქმეებს პრეზიდენტი და მისი გარემოცვა აგვარებს. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ რიკელმე კარგი ფეხბურთელია, ვინაიდან მისი თამაში ბევრჯერ მინახავს.

— „ბარსას“ დანარჩენ მოთამაშეებზე რას გვეტყვით?

— ტიაგო მოტას ვიცნობ, ისიც ბრაზილიელია. კლუივერტის ბევრი მატჩი მინახავს. „ბარსელონასთან“ ერთად ვარჯიში მალე მინდა დავიწყო, მაშინ ყველას ვნახავ მინდორზე და მათ შესაძლებლობებსაც შევაფასებ. სულითა და გულით მსურს, „ბარსა“ ძლიერი გუნდი იყოს.

— დიდი პასუხისმგებლობის გამო დაძაბულობას ხომ არ გრძნობთ?

— დაძაბულობას? ხომ ვერ ამიხსნით, ეს სიტყვა რას ნიშნავს? როდესაც ხალხის სიყვარულს გრძნობ, არავითარი დაძაბულობა აღარ გახსოვს. ბრაზილიის ნაკრების მოთამაშე ვარ და კარგად იცით, ეს რამხელა პასუხისმგებლობაცაა. მიუხედავად ამისა, როდესაც შენს საქმეში დარწმუნებული ხარ, ყოველგვარი მღელვარება სადღაც ქრება. გულშემატკივრებს კი მოთმინება მართებთ, განსაკუთრებით სეზონის დაწყების წინ. ფეხბურთელებს ხომ ადაპტაციის პერიოდში ყველაზე მეტად უჭირთ.

— გულშემატკივრებმა უკვე დაამტკიცეს თქვენს მიმართ დიდი სიყვარული...

— ჩემი პრეზენტაციის დღე არასდროს დამავიწყდება.

— რა მიზანს ისახავთ პრიმერადივიზიონში პირველ წელს?

— რაც შეიძლება, მეტი ჯილდოს მოგება. ვოცნებობ, „ბარსას“ ღირსების დასაცავად ყველაზე მრისხანე შეხვედრებში მომიწიოს ჩაბმა. „ბარსას“ გულშემატკივრებს მოგება სწყურიათ, ჩვენც ამ მოგების მისაღწევად არაფერს დავიშურებთ.

— თქვენთვის ყველაზე უჩვეულო რა გამოდგა „ბარსელონაში“?

— ხალხის საოცარი სითბო და... კლუბის მმართველთა ახალგაზრდა ასაკი. საიდუმლოდ გეტყვით და, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, კატალონიური გრანდის პრეზიდენტის კაბინეტში მასთან ერთად ფეხბურთს თუ ვითამაშებდი. კარგია, როდესაც შენი უფროსი ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე ადამიანია.

—ფეხბურთი ითამაშეთ?

—დიახ.

— ესე იგი, ხუან ლაპორტამ ფეხბურთის თამაშიც იცის?

— იცის, და მერე როგორ!

ალფრედო დი სტეფანო „გმადლობთ, ძმაო“ ფრაგმენტები წიგნიდან

X ფორვარდი

მილიონერი სანტიაგო ბერნაბეუ მთელი ცხოვრება ძველისძველი ფოლკსვაგენით დადიოდა

ცხოვრების სტილი

ომის შემდგომ ესპანეთში ახლებური ცხოვრება დაიწყო და ეს სიახლე, ცხადია, მეც შემეხო. აქ მეორე მსოფლიო ომს ვგულისხმობ და არა, სამოქალაქოს.

ხალხმა თითქოს გამოიღვიძა და უამრავი ინტერესი გაუჩნდა. ომგამოვლილ ადამიანებს ყველაფერი აინტერესებდათ: ხელოვნება, კორიდა, ფეხბურთი, ათასი სხვა რამ. ბარები და რესტორნები გადაჭედილი იყო, ყველა ცდილობდა, ომისდროინდელი დანაკარგი აენაზღაურებინა. მეც, მინდოდა თუ არა, ცხოვრების ამ ახალი სტილით უნდა მეცხოვრა.

გამუდმებით, ხან სადილად მპატიჟებდა ვინმე, ხან გამოფენიდან მოსწვევი მომდიოდა. ამგვარად უამრავი ადამიანი გავიცანი.

„რრეალიც“ ხომ ესპანეთის ნაწილი იყო და მასაც გამოცოცხლება დაეტყო. ის ძველ დიდებას იბრუნებდა. ცხოვრების სტილის შეცვლა კლუბსაც უმალ დაეტყო. მოდაში შემოვიდა ფეხბურთელების და ტექნიკური პერსონალის ერთად ვახშმობა. ცოლებთან ერთად ერთმანეთთან სტუმრად სიარული. „რეალი“ ყველანაირად ცდილობდა ამხანაგობის გრძნობის გაღვივებას და ჩვენც ვგრძნობდით, რომ ერთი დიდი ოჯახის წევრები ვიყავით.

ამგვარი გარემოს შექმნა კი უპირველესად რაიმუნდო საპორტას დამსახურება იყო, სანტიაგო ბერნაბეუს მარჯვენა ხელის, მომავალი ვიცე-პრეზიდენტის და შემდგომში „რეალის“ საპატიო პრეზიდენტის. ახალი იდეები ბერნაბეუსგან მოდიოდა, განხორციელებაზე პასუხისმგებელი კი თავიდან ბოლომდე საპორტა იყო.

ჩვენ, ფეხბურთელები, საპორტაში უფროს ძმას ვხედავდით, თუმცა ბევრ ჩვენთაგანზე უმცროსი იყო. ის გვიწყვეტდა ყველა პირად პრობლემას. გვასწავლიდა, როგორ შეგვენახა ფული. საყიდლებზე მაღაზიებშ კი დაგვყვებოდა, ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ რომ ფეხბურთის გარდა არაფერზე გვეფიქრა. ნაჩხუბრებსაც არიგებდა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ჩემმა მშობლებმა მადრიდში ჩამოსვლა შეძლეს. ღარიბი არ ვიყავი, მაგრამ ჩემი ფულით ამის გაკეთება გამიჭირდებოდა, მან კი კლუბის სალაროდან აიღო საჭირო ფული.

რაიმუნდო საპორტა

არადა, მაშინ არგენტინაში მშობლებთან შეხმიანება ძალიან მიჭირდა. წარმოიდგინეთ, შეკვეთა უნდა მიმეცა და მთელი სამი დღე მეცადა. ბოლოს, როცა ზარი გავიდოდა, ირკვეოდა, რომ სახლში არავინ იყო და ისევ სამდღიანი ლოდინი მიწევდა.

მამაჩემი ჩემს ამბებს ძირითადად გაზეთებიდან იტყობდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ხშირად ტყუილებს წერდნენ და ნერვიულობდა.

პრესასთან ჩემს დამოკიდებულებაზე ქვემოთ გეტყვით, იქამდე კი ისევ ცხოვრების სტილს მივუბრუნდები.

1955 წელს მესამე შვილი, უმცროსი ალფრედო შემეძინა, ის მადრიდში დაიბადა ამ სიხარულთან რა შედარებაა, მაგრამ იმ წელს მანქანაც ვიყიდეთ, უფრო სწორედ, ორი მანქანა, ჩემთვის და სარასთვის. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მანქანის საყიდლად თვით სანტიაგო ბერნაბეუს ნებართვა დამჭირდა. ის მუდამ ამბობდა, რომ ჩვენი ქომაგების დიდი ნაწილი ღარიბი ადამიანები იყვნენ და ძვირფასი მანქანებით და სხვა მსგავსი რამეებით მათი გაღიზიანება დაუშვებელი იყო. ღარიბი გულშემატკივრის წინაშე სიმდიდრით თავის მოწონება, მას უზნეობად მიაჩნდა. ჰოდა, ამიტომაც, ორი მანქანის პატრონი ხშირად ტაქსით დავდიოდი, უფრო ხშირად კი ფეხით ვსეირნობდი-ხოლმე. ფეხით სიარული ისედაც მიყვარდა.

ბერნაბეუს მეზობლად ვცხოვრობდი, მისი სახლის წინ კი ომამდელი გამოშვების პაწაწინა „ფოლკსვაგენი“ იდგა, რომელშიც ზორბა ბერნაბეუ ძლივს ეტეოდა. თავისი ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, უკეთეს მანქანას არ ყიდულობდა.

მე და ჟურნალისტები

არიან კარგი და ცუდი ფეხბურთელები, კარგი და ცუდი გულშემატკივრები, კარგი და ცუდი ჟურნალისტები...

ერთ ეპიზოდს გავიხსენებ. „ბარსელონა“ ჩემპიონთა თასზე „ვულვერჰემპტონს“ ხვდებოდა. იმ თამაშის სანახავად ბარსელონაში ჩავედი, სადაც ერთ ინგლისელ ჟურნალისტს ინტერვიუზე დავთანხმდი, თარჯიმნობას კი კატალონიელი ჟურნალისტი გვიწევდა.

ინგლისელმა „ბარსელონაზე“ აზრის გამოთქმა რომ მთხოვა, ვუპასუხე, ძალიან ძლიერი გუნდია და ვფიქრობ, „ვულვზს“ დაამარცხებს-მეთქი. კატალონიელმა ჟურნალისტმა კი თარგმნისას ინგლისელს დეტალურად აღუწერა დიდი ბარსელონელების, კუბალას, ფლოტასის და სხვათა თამაშის სტილი, ძლიერი და სუსტი მხარეები. ცხადია, ეს ყველაფერი ჩემს ნათქვამად გაასაღა.

იმ მატჩიდან რამდენიმე დღის შემდეგ იმავე „კამპ ნოუზე“ „ბარსა“ — „რეალი“ იყო. გავდივარ მოედანზე და, ისედაც ხომ ყოველთვის გვისტვენდნენ, ვგრძნობ, რომ გაათკეცებული ენერგიით შეუდგნენ სტვენას. თან ეს მაშინ, როცა გასახდელიდან მე გამოვედი. ტრიბუნაზე კი ასეთი პლაკატი აქვთ გამოფენილი: „ჩამშვებები გვეზიზღება“. მივხვდი, რომ მე მეხებოდა. ხალხმა იმ ინგლისელის ინტერვიუ წაიკითხა და იფიქრა, რომ ეს მე გავურჩიე ინგლისელებს „ბარსას“ ტაქტიკა.

საერთოდ, ვფიქრობ, რომ ტაქტიკის დამალვა სისულელეა, მაგრამ რაც გინდა იყოს, მე ხომ ინგლისელებისთვის არაფერი მითქვამს, „ბარსა“ კატალონიელმა ჟურნალისტმა „ჩაუშვა“ და მე გადმომაბრალა.

სხვათა შორის, „ბარსელონამ“ „ვულვერჰემპტონს“ მაშინ 4:0 მოუგო.

კიდევ ერთ, უფრო საინტერესო ამბავს გავიხსენებ. ბილბაოური გაზეთი „პრენსა“ დიდი ხნის მანძილზე ჩემს გვარს საერთოდ არ ახსენებდა. მაგალითად, როცა „რეალის“ შემადგენლობა უნდა დაეწერა, ასე იქცეოდა: „...კოპა, მატეოსი, X, რიალი, ხენტო“.

ან ასე: „კოპა, მატეოსი, რეალი, ხენტო, ის ცენტრფორვარდი“.

როცა გოლს გავიტანდი, წერდნენ: „გოლი „რეალის“ მე-9 ნომერმა გაიტანა“.

ყველაფერი კი სან სებასტიანში დაიწყო. „რეალ სოსიედადს“ ვხვდებოდით და მოედანზე მუხლებამდე ტალახი იყო. კი, წვიმდა, მაგრამ მინდორი წვიმას არ აუტალახებია. ბევრ კლუბს საგანგებოდ ჰყავდა აგრონომი, რომელსაც მინდვრის გაფუჭება ეშინოდა. სან სებასტიანში იცოდნენ, რომ ჩვენ სტილიდან გამომდინარე, ტალახში თამაში გაგვიჭირდებოდა, „სოსიედადს“ კი საგანგებოდ ჰქონდა დამუშავებული შესაბამისი ტაქტიკა.

მოკლედ, ამგვარ პირობებში ვითამაშეთ. დაბალი პასები არ გამოგვდიოდა, ბურთი ტალახში ეფლობოდა, მეტოქე კი გრძელი, მაღალი პასებით თამაშობდა. საბედნიეროდ, ის თამაში მაინც მოვიგეთ, ზუსტად არ მახსოვს, 2:1 ან 1:0.

თამაშის მერე გასახდელში რომ შევედით, ისე ვიყავით დასვრილები, ერთმანეთს პირდაპირი გაგებით ველარ ვცნობდით. ამ დროს ჩვენთან „პრენსას“ ჟურნალისტი შემოვიდა და სულელური კითხვებით შეგვაწუხა. მაგალითად, თქვენ გწამთ ღმერთი? და მისთანები. ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა ვერ მოითმინა და ჟურნალისტს სახეში ტალახიანი პირსახოცი ესროლა. მეორე დღეს კი იმ გაზეთმა დაბეჭდა, თითქოს პირსახოცი მე მესროლოს.

ერთი ამბავი ატყდა. ეს ცნობა სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდეს და ამბავი ისე გახმაურდა, დახმარებისთვის ფეხბურთელთა პროფკავშირსაც მივმართე. პროფკავშირმა საქმე გამოიძია და გაზეთს ბოდიშის მოხდა დაავალა. ბოდიში კი მომიხადეს, მაგრამ ხომ იცით, როგორც ხდება: ბრალდება უზარმაზარი სათაურით გამოსაჩენ ადგილას დაიბეჭდა, ბოდიში კი სადღაც ბოლოში წვრილი შრიფტით ჩატენეს.

მაგრამ, ცხადია, ყოველთვის ეგრე არ ყოფილა. იმავე სან სებასტიანში და ბარსელონაში უამრავი მეგობარი მყავს.

სანტიაგო ბერნაბეუს
აი, ასეთი მანქანა ჰყავდა





დავიდ პისარო

ვინც დაბრუნდა, გაუმარჯოს!

ლაციომ სტამი ნესტად დაუფასა

„უდინეზელები“ „ლაციოში“ დავიდ პისაროს გადასვლა ჩაიშალა. რომაულმა კლუბმა არათუ შეინარჩუნა შემადგენლობის ბირთვი, როგორც ჩანს, ფინანსურად ოდნავ მოძლიერდა კიდეც, რადგან ახალ ფეხბურთელებს ეპოტინება.

ამჯერად „ლაციომ“ გარიგება ვერ მოახერხა. „უდინეზეს“ ჩილელმა ნახევარმცველმა დედაქალაქელებს გვარიანად მსუყე ჯამაგირი მოსთხოვა და უარის შემდეგ უდინეში დაბრუნდა.

„მე აქ დარჩენა გადავწყვიტე. შემოთავაზება „იუვენტუსიდან“? არა, რას ბრძანებთ, მსგავსი არაფერი მსმენია. მხოლოდ „ლაციოსთან“ მორიგება მსურდა, მაგრამ არ გამოვიდა და ახლა ისევ ჩემს „უდინეზეს“ დავეხმარები“.

ფეხბურთელის კლუბში დარჩენის ფაქტი მისმა აგენტმაც დაადასტურა. უდინელთა გენერალური დირექტორი პიერპაოლო მარინო კი პირადად შეეგება უკან დაბრუნებულ პისაროს და აღფრთოვანებულიც იყო.

არანაკლებ გაიხარა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ: „ძველი შემადგენლობა შეინარჩუნეთ და ეს ძალიან კარგია. ვეცდებით, შარშანდელი შედეგი გავიმეოროთ“.

გაურკვეველია ჰოლანდიელი იაპ სტამის ბედიც. ივლისის დასაწყისში „ინტერმა“ „ლაციოს“ მცველის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო შეაძლია, მაგრამ უარი მიიღო. ახლა ამბობენ, რომ სტამი „მილანს“ მოსურვებია, მაგრამ „ლაციოს“ წარმომადგენელმა ლუკა ბარალდიმ განაცხადა: „მილანს“ თუ ჰოლანდიელის წაყვანა სწადია, მის ნაცვლად ალესანდრო ნესტა უნდა მოგვცეს. თუმცა საეჭვოა, რომ ამ პირობაზე დაგვთანხმდნენ. ისე კი 30 მილიონი ევროც რომ შემოგვთავაზონ, ჩვენი პასუხი ერთმნიშვნელოვანია: იაპ სტამი არ იყიდება!“

ვაჟა ხუციშვილი

გერმანული ძმარი არგენტინულ ცხვირში

ყოლერმაც იცის, ვაჭყაცებს გოგოები ჰყავთ



დორტმუნდის „ბორუსიას“ არგენტინელი ნახევარმცველი ხუან რამონ ფერნანდესი ჰყავს. ამ ზაფხულს არგენტინელმა დასასვენებლად სამშობლოსკენ გასწია და როგორც სამხრეთამერიკელებს სჩვევიათ, შვებულება გაუტკბა. არა ერთი და ორი, არა სამი და ოთხი, სრული 21 დღით დაიგვიანა გერმანიაში ჩასვლა.

პუნქტუალურობით სახელმოხვეჭილ ქვეყანაში ასეთ საქციელს ვინ აპატიებდა?! ჩვეულებისამებრ, ფეხბურთელს ფულადი ჯარიმა აჰკიდეს და როგორ ფიქრობთ, რამდენი ევრო ააფცქვნეს? 23 წლის ფერნანდესის ანგარიშიდან „შავ-ყვითლების“ ბოსებმა 100 ათასი ევრო მოხსნეს.

მოკლედ, 21-დღიანი ზედმეტი დასვენება არგენტინელს 100 ათასი ევრო დაუჯდა, ყოველდღე ხუთი ათას ევროზე მეტი.

ხუან რამონმა მათიას ზამერს ბოდიში კი მოუხადა, მაგრამ ზამერმა თქვა: „კი, მოიბოდიშა, მაგრამ სიტყვებს საქმე მირჩევნია“.

ფერნანდესის ჯიბეს ფული მოაკლდა, სამაგიეროდ, იან კოლერის ოჯახშია მატება. ჩეხ გიგანტს მეუღლემ პატარა გოგო აჩუქა, რომელიც დორტმუნდის ერთ-ერთ კლინიკაში დაიბადა. „დედაც კარგად არის, შვილიც, მე კი უზომოდ ბედნიერი ვარ“ — ხალისობდა კოლერი, მეტსახელად „დინო“.

ვაჟა ხუციშვილი

იუვენტუსი ანიელის საფლავთან

ტურამი უპონეურენტოა, მეორე შემადგენლობაშიც ვერ მოხვდა



მარჩელო ლიპიმ სტეფან აპია ტურინულად დამოძღვრა

გუშინ იტალიის სუპერკოპას ერთ მონაწილეზე, „მილანზე“ გიამბეთ, დღეს კი შეპირებისამებრ „იუვენტუსზეც“ ვთქვათ.

დაინომრა „ბებერი ქალბატონიც“, გუშინ კი იტალიის ჩემპიონებმა ამერიკაში წასვლამდე ამხანაგურად ითამაშეს.

მარჩელო ლიპიმ შეგირდები ჯანი ანიელის მშობლიურ მხარეში, პერუჯა დი სენტ ვინსენტში ჩაიყვანა. უკვე მერამდენე წელია, ტურინელები სეზონის წინ ამ დაბას სტუმრობენ. ჯანი ანიელი კი იცით, ვინც იყო. კონცერნ „ფიატის“ და იმავდროულად „იუვეს“ მფლობელი, „ბებერი ქალბატონის“ საპატიო პრეზიდენტი.

გუშინდელი სტუმრობა გამორჩეული და სევდიანი გახლდათ. ფეხბურთელებმა მწვრთნელებითურთ ჯერ გარდაცვლილი ანიელის საფლავი მოინახულეს, საღამოს კი ადგილობრივ მოყვარულთა გუნდს გაეჯიბრნენ.

ცოტა გადააჭარბეს ტურინელებმა. მართალია, მეტოქე ძალიან სუსტი ჰყავდათ, მაგრამ 12:0? გაილაღა მარკო დი ვაიომ, მან პოკერი გაახერხა. დუბლი მიითვალა დელ პიერომ, ხოლო დავიდსი, ტრეზეგე, ნედვედი, კონტე, მიკოლი და ოლივერა თითო გოლით დაკმაყოფილდნენ.

მარჩელო ლიპიმ მოყვარულებთან თითქმის უძლიერესი შემადგენლობა ათამაშა: ბუფონი — ბირინდელი, ლეგროტალიე, იულიანო, ძამბროტა — კამორანეზი, ტაკინარდი, დავიდსი — ნედვედი — დელ პიერო, ტრეზეგე. პირველი ტაიმი ამათ ითამაშეს და 5:0 მოიგეს. მეორე კი ლიპიმ სავარაუდო სათადარიგოებს დააწყებინა: კიმენტი — ფერარა, მონტერო, ფრეზი, პესოტო — კონტე, აპია, მარესკა, ოლივერა — დი ვაიო, მიკოლი. სათადარიგოებმა, როგორც ჩანს, უფრო ყინჩად ითამაშეს, მათ ორით მეტი გოლი შეაგდეს და 7:0 მოიგეს.

ლიპიმ მიზანშეუწონლად ჩათვალა ფრანგი მარჯვენა მცველის, ლილიან ტურამის თამაში. ალბათ, მაესტრო ისედაც დარწმუნებულია მის შესაძლებლობებში. „იუვეს“ ვებ-საიტზე წერია, ტურამი მარჯვენა ფლანგზე უკონკურენტოა და ლიპის უჯობს, სხვები გამოსცადოსო.

თუ ორივე ტაიმში „იუვენტუსის“ ტაქტიკურ განლაგებას დაუკვირდებით, მიხვდებით, რომ მწვრთნელის არჩეული სათამაშო სქემა კლასიკური 4-4-2-ია, თუმც თვალში გეცემათ ნედვედის ახალი ამპლუაც. მას პლეიმეიკერობა ევალებოდა. არადა, ეს დაულალავი ჩეხი შარშან ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე დაშლიგინობდა. აკი ამბობდა ლიპი, პაველი ისეთი უნივერსალია, მისი გამთამაშებლად გამწესება ჩვენს შეტევებს სიმწვავეს შემატებს, თავდამსხმელების ჩინებული პასებით მომარაგება და კარში უძლიერესად დარტყმა არ ესწავლებაო.

ახლა ცოტაც ტრანსფერებზე ვთქვათ, მერე კი ახალწვეულთა მუდმივ ნომრებზეც.

„იუვეში“ ახალი ფეხბურთელების მოზღვავება არ შეინიშნება, ასეთი მხოლოდ ორია — განელი ნახევარმცველი სტეფან აპია და ახოვანი მცველი ნიკოლა ლეგროტალიე. ფაბრიციო მიკოლი და ენცო მარესკა კი იჯარით იყვნენ გაშვებულნი შარშან, შესაბამისად „პერუჯასა“ და „პიაჩენცაში“ და ახლა დაბრუნდნენ.

მიკოლი ხომ სულაც გამოსარჩევია. ამ ჩია, თავხოტორა ფორვარდმა განვლილი სეზონი დიდებულად ჩაატარა, თითქმის ყველა იტალიურ ბობოლა კლუბს გოლი გაუტანა და „სკუადრა აძურაშიც“ მიიღო ჯოვანი ტრაპატონისგან მიწვევა. რაც შეეხება, მარესკას, ერთ დროს პერსპექტიულმა ფეხბურთელმა თავისი შესაძლებლობები ვერაფრით გამოავლინა. იგი კარგა ხანია, „იუვეს“ საკუთრებაა და ყოველ სეზონში სხვა გუნდში ანათხოვრებენ. ახლა ენცოს იმედი მიეცა, რახან კიდევ ერთხელ დამაბრუნეს, ესე იგი, ვჭირდებიო.

გუნდიდან წასულებიდან უპირველესად მარსელო სალასზე უნდა ვთქვათ. ჩილელს დიახაც რომ სურდა ტურინის დატოვება. ჯერ ერთწლიანმა იძულებითმა განშორებამ მოუწია ფეხბურთთან. „ლაციოდან“ რომ გადავიდა, ვარჯიშზე ფეხი მოიტეხა. მერე, რომ გამოჯანმრთელდა, სასურველი სათამაშო ფორმა მაინც ვერ აღიდგინა. თანაც ვერც დელ პიერო-ტრეზეგე-დი ვაიოს გაუწია კონკურენცია. ჰოდა, წავიდა, დაბრუნდა იქ, სადაც ოდესღაც ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში — სალასი არგენტინულ „რივერ პლეიტს“ შეეკედლა.

ნახევარმცველი დავიდე ბაიოკო სულ ორი დღეა, რაც კვლავ გაანათხოვრეს. იგი „რეჯინაში“ ითამაშებს. ივარის წესით გაუშვეს კრისტიან ძენონიც. იგი სერია A-ში წლეულს დაბრუნებულ, ერთ დროს სახელიან გენუის „სამპდორიას“ ღირსებას დაიცავს.

მუდმივი ნომრები? ლეგროტალიეს 23 ერგო, მიკოლის 9, აპიას 18, მარესკას 14. დანარჩენებს კი იგივე შერჩათ, თუმც სჯობს გავიხსენოთ.

გიორგი ვაშაკიძე

„იუვენტუსის“ განაცხადი 2003-2004

მეკარეები		**ნახევარმცველები**	
1	ჯანლუიჯი ბუფონი	3	ალესიო ტაკინარდი
12	ანტონიო კიმენტი	8	ანტონიო კონტე
22	ანტონიო მირანტე	11	პაველ ნედვედი
მცველები		14	ენცო მარესკა
2	ჩირო ფერარა	16	მაურო კამორანეზი
4	პაოლო მონტერო	18	სტეფან აპია
5	იგორ ტუდორი	19	ჯანლუკა ძამბროტა
6	სალვატორე ფრეზი	26	ედგარ დავიდსი
7	ჯანლუკა პესოტო	42	მარკო ბრიგი
13	მარკ იულიანო	**თავდამსხმელები**	
15	ალესანდრო ბირინდელი	9	ფაბრიციო მიკოლი
21	ლილიან ტურამი	10	ალესანდრო დელ პიერო
23	ნიკოლა ლეგროტალიე	17	დავიდ ტრეზეგე
		20	მარკო დი ვაიო
		24	რუბენ ოლივერა
		25	მარსელო ზალაიეტა

ᲙᲝᲜᲙᲐᲙᲐᲤᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲗᲐᲡᲘ 2003

ᲒᲝᲚᲘ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲙᲝᲡᲢᲐᲠᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲛ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲨᲔᲐᲪᲘᲚᲐ

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ 2:0 ᲙᲝᲡᲢᲐ ᲠᲘᲙᲐ

1:0 მარკესი (19), 2:0 ბორგეტი (28)

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ: ო. სანჩესი, ბრისენო, მარკესი (სალასარი 46), ოსორიო, კარმონა, ვალდესი, ო. ბრავო (ოსორნო 64), პარდო, ბორგეტი, რ. გარსია, არელანო (ხ. როდრიგესი 78)

ᲙᲝᲡᲢᲐ ᲠᲘᲙᲐ: რ. გონსალესი, მარინი, ა. კასტრო, ფ. მარტინესი (ჩინჩილია 46), ვ. ლოპესი (ბრისი 68), სენტენო, ვალეხოსი, სკოტი, მ. რაიტი, პარკსი (რ. ფონსეკა 55), კ. კასტრო

მაყურებელი: ალვარო ნერი (სალვადორი)

22 000 მაყურებელი

ᲙᲝᲡᲢᲐ ᲠᲘᲙᲐ ოქროს თასის ფინალში რომ ვერ გავიდა, პირველ რიგში თავის მეკარეს, რიკარდო გონსალესს უნდა „უმადლოდეს“. ამ უკანასკნელის ორი უხეში შეცდომა მექსიკელთა გოლებით დასრულდა და მატჩის ბედიც სწორედ ამან გადაწყვიტა.

მატჩი თანაბარ ბრძოლაში დაიწყო, რადგანაც გულშემატკივართა უმეტესი ნაწილის მხარდაჭერით ფრთაშესხმულ მექსიკელებს ბევრი ვერაფერი გამოსდიოდათ, თუმცა მე-19 წუთზე მასპინძელთა კაპიტანმა რაფაელ მარკესმა შენიშნა, რომ კოსტარიკელთა მეკარე ოდნავ წინ გამოსულიყო და ჩინებულად დაარტყა. რიკარდო გონსალესი სიტუაციაში ვერ გაერკვა და ისლა მოახერხა, რომ ბურთი კარის ბადეში თავისივე ხელით შეაცილა.

REUTERS მეხიკოდან

კოსტარიკელმა მაურისიო რაიტმა ხელები ბლომად კი იქნია, მაგრამ ხარედ ბორგეტისთან ვერაფერს გახდა

კოსტა რიკამ წესიერად გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ გონსალესმა თავისი გუნდი მეორედ დაალატა. ამჯერად იგი რაფაელ გარსიას მიერ ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს ვერ გაუმკლავდა რიგიანად და ხარედ ბორგეტისაც ანგარიშის გაზრდა აღარ გასჭირვებია.

მექსიკელებს ამის შემდეგ თავი აღარ მოუკლავთ და მართალია, კოსტა რიკა არ დანებებულა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

ჩვეული აქტიურობით გამოირჩეოდა კოსტარიკელი ვალტერ სენტენო, მაგრამ მის სახიფათო დარტმებს მექსიკელთა კარის დარაჯი ოსვალდო სანჩესი მარჯვედ უმკლავდებოდა. სანჩესისთვის გოლის გატანა ვისტონ პარკსმა, ფონსეკამ და სხვა კოსტარიკელებმაც სცადეს, მაგრამ ამაოდ.

აი, რა თქვა მატჩის შემდეგ თავისი გოლით აღრფოვანებულმა რაფაელ მარკესმა: „ცენტრიდან დარტყმა გადავწყვიტე და გამომივიდა კიდეც, რითაც გონსალესიც გავაკვირვე და საკუთარი თავიც.“

ნახევარმცველმა პაველ პარდომ კი, რომელმაც მეორე ტაიმში მექსიკელთა კაპიტნობა გასწია (მარკესმა მარცხენა მუხლი დაიზიანა და შეცვალეს), ასეთი კომენტარი გააკეთა: „კარგად ვითამაშეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. რა თქმა უნდა, ფინალში გასვლით გახარებულები ვართ, მაგრამ გადამწყვეტი მატჩი ჯერ წინ არის.“

ახლა კოსტა რიკა და აშშ ერთმანეთში მესამე ადგილის ბედს გაარკვევენ. კვირას კი, „აცტეკაზე“, ფინალი გაიმართება. შეგახსენებთ, რომ მექსიკა და ბრაზილია ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ და მაშინ სამხრეთამერიკელებმა ტურნირის თანამასპინძლებთან 0:1 წააგეს.

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ

REUTERS ბანგკოკიდან

„ლივერპულის“ წვალება ემილ ჰესკის გოლის მერე დასრულდა

105: აი, ასე!

ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ ᲑᲝᲠᲓᲔᲚᲨᲘ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲟᲔᲡ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲨᲛᲘᲪᲔᲠᲘᲡ ორი და ემილ ჰესკის ერთი გოლის წყალობით, „ლივერპულმა“ ტაილანდის ნაკრებს 3:1 მოუგო, ოღონდ თამაში 105 წუთიანი გამოვიდა — აი, ასე! „ლივერპულმა“ ბანგკოკში სეზონისწინა შეკრება დაიწყო.

ახლა იმაზე, რატომ გამოვიდა თამაში 105-წუთიანი. მიზეზი ძალიან მარტივი ყოფილა: თურმე „ლივერპულის“ მწვრთნელმა ჟერარ ულიემ მსაჯს უთხრა, მე-60 წუთზე ყველას გამოცვლა მინდა და არ გაიკვირვოო, მსაჯს კი ეგონა, ულიემ ტაიმის 60 წუთამდე გაგრძელება მთხოვაო.

ერთი სიტყვით, ინგლისური ფეხბურთის მიმართ ლამის რელიგიურად აღტყინებულმა ტაილანდელებმა ინგლისური კლუბის მწვრთნელის გულის გასახარად 45-წუთიანი ტაიმი 60 წუთიანი გახადეს.

„ასეთ ხანგრძლივ თამაშში მონაწილეობა არასდროს მიმიღია — განაცხადა მატჩის შემდეგ ულიემ — თუმცა გთხოვთ, მსაჯს ბრალს ნურაფერში დასდებთ, მას მხოლოდ კეთილი სურვილები ამოძრავებდა.“

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ „ლივერპულს“ ორგანიზებული ტაილანდელების წინააღმდეგ დალაგებული ბურთაობა გაუჭირდა და, რომ არა ჰესკის ინდივიდუალიზმი — ბურთი ტაილანდელთა საჯარიმოსთან იხელთა, საჯარიმოში შევარდა და გოლი შეაგდო — ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მათი ცოდვილობა.

აღსანიშნავია, რომ შორეულ მოგზაურობაში ინგლისელებს ქომაგთა მცირე ჯგუფი ახლავთ, რომელმაც აღმართა პლაკატი: „LFC — ჩვენ მარად გვეყვარები“, ოღონდ მთავარი ის არის, რომ პლაკატზე ამ სიტყვებს ბანგკოკის „წითელი ფარნების უბანში“ მოპატიჟე, მეძავი კატა აცხადებდა.

ხოლო სანამ სტივენ ჯერარდი სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ფრანგი ყმაწვილი, ანტონი ლე ტალეკი ბურთს მარდად ათამაშებდა აქეთ-იქით და ორჯერ კინაღამ გოლიც გაიტანა.

50-ე წუთზე, ანუ შესვენებამდე 10 წუთით ადრე, სომჯეტ სატაბუდმა ანგარიში გაათანაბრა — სატაბუდი მარჯვენა ფრთაზე უმეთვალყურეოდ აღმოჩნდა და გადაუგდო კიდეც ბურთი თავზე „ლივერპულის“ კარის მცველს, კრის კირკლანდს.

ამის შემდეგ, ტაილანდელთა მწვრთნელმა, ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა პიტერ უაითმა მსაჯის მოხმობა და „მორჩი, დაამთავრეს“ ყვირილი დაიწყო, მაგრამ ამ ბედნიერებას კიდევ 10 წუთი ვერ ეღირსა, ხოლო მეორე ტაიმში, როდესაც სტუმრებმა 11 კაცი შეცვალეს, მასპინძლები ძლივსღა დალასლასებდნენ.

„ლივერპულსაც“ რა ენაღვლებოდა, ტემპი ასწია და როგორც გითხარით, კიდევ ორი გოლი გაიტანა.

ულიე: „მომეწონა გადაადგილებები და ის, რომ მოძენტები შეექმენით. მომეწონა ლე ტალეკის პასებიც“

„ლივერპული“ შემდეგ თამაშს კვირას, ჰონკონგის ნაკრებთან თამაშობს.

ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲙᲔᲓᲘᲐ

ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘ ᲘᲐ�პᲝᲜᲔᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲝᲡ ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲐᲕᲔᲜ

ᲔᲠᲗ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ საფრანგეთის ჩემპიონატი დაიწყება. იქამდე კი, ფრანგული გუნდებიდან, სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე მეტად ქვეყნის ჩემპიონი „ლიონი“ აქტიურობს. ლოგიკურიცაა, რადგან ის ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და სათანადოდ გაძლიერება სჭირდება.

ლიონელებმა შარშან ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი ვერ გაიარეს. ბოლო ტურის მატჩში სტუმრად „რუსენბორგთან“ ფრე ითამაშეს და მეორე ადგილი ამსტერდამის „აიაქსს“ დაუთმეს. მაშინ ტრონჰეიმში ბოლო წუთზე სონი ანდერსონმა ასპროცენტიანი საგოლე მომენტი გააფუჭა.

მომავალი სეზონიდან ანდერსონი „ლიონს“ ველარ დაეხმარება. იგი, შეგახსენებთ, ესპანურ „ვილიარეალში“ გადავიდა.

საფრანგეთის ჩემპიონი უპირველესად თავდასხმაში ბრაზილიელის შემცვლელს ეძებდა. მიზანში მარკ ვიდუკა, ადრიან მუტუ და დანიელ მორეირა ჰყავდა.

ფორვარდი მას შემდეგ უფრო საჭირო გახდა, რაც „ლიონის“ მეგოლე სიდნეი გოვუ დაშავდა და გუნდს ერთი თვით გამოაკლდა. ლიონელებმა მკითხაობა აღარ დაიწყეს და „გენგამიდან“ ფლორან მალუდა გადაიყვანეს. მალუდამ წინა სეზონში 10 გოლი გაიტანა და მის სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო გადიხადეს.

ლიონელებმა „გენგამსვე“ წაჰგვარეს განელი ნახევარმცველი მიქაელ ესიენი და მაროკოელი მცველი ჯამელ ალიუი.

პოლ ლე გუენის მცველთა რიგები ანტონი რეველიერიმაც შეავსო, რომელიც „რენიდან“ ესპანურ „ვალენსიაში“ იყო განათხოვრებული და პრიმერას სკოლაგავლილია.

ფრანგულ ლიგაში „ახალი ხილი“ გამოჩნდა. „მონპელიემ“ სერია A-ს მიჰბაძა და იაპონელი ფეხბურთელი შეიძინა. ნოზომი ჰიროიამა პორტუგალიის „ბრაგაში“ თამაშობდა, მაგრამ შარშანდელი სეზონის ნახევარი ტრავმის გამო გაუცდა. ახლა უკვე გამოჯანმრთელებული ჰიროიამა მომავალი სეზონიდან „მონპელიეს“ შეეშველება.

ამასობაში გამდიდრებული პსჟ რონალდინიოს სანაცვლოდ მილებული ფულით ახალი ფეხბურთელების შეძენას აპირებს, პარიზელებს „არსენალის“ სილვენ ვილტორდისა და „ფულემის“ სტივ მარლეს შეძენის ამბავი „მიაკერეს“, მაგრამ პსჟ-ს პრეზიდენტმა თქვა, მსგავსი რამ აზრადაც არ მომსვლიაო.



ფლორან მალუდა

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲣᲚ ᲒᲐᲒᲘᲭᲓᲐ ᲛᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ!

ᲑᲔᲥᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲯᲓᲝᲛᲐ-ᲜᲐᲯᲓᲝᲛᲘ ᲖᲝᲒ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲰᲔᲜᲡᲘᲔᲑᲡ ᲒᲐᲘᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲓᲐ

რა უნდა მოგცეს სკამმა, რომელსაც 10 მილიონ გირვანქად შეიძენ? წარმოიდგინეთ, რომ ერთი ჩვეულებრივი ოთხფეხა საგანი ჩვენს ფულზე დაახლოებით 40 მილიონ ლარად შეაფასეს. კი მაგრამ, ვისი საჯდომი იდო ზედ, ის ოთხფეხა ასე ძვირად რომ ფასობს? ერთი მინიშნება: მან, ვისი საჯდომიც იმ სკამზე ოდესღაც იდო, ჯერ ესპანური არ იცის. ძნელი გამოსაცნობია? რა თქმა უნდა, ესპანური უამრავმა ადამიანმა არ იცის, მაგრამ არის ერთი, ვინც დღეს ესპანურის არმცოდნეთაგან ყველაზე პოპულარულია: დე... დე... დევიდ ბექემი იჯდა იმ სკამზე. როდის? 1995 წლის 4 მარტს „მანჩესტერიდან“ მესამედივიზიონურ „პრესტონში“ განათხოვრების შემდეგ პირველივე მატჩზე „დონკასტერის“ წინააღმდეგ ბექემი სათადარიგოებში დასვეს. მეორე ტაიმში იგი მოედანზე პოლ რეინორის ნაცვლად შევიდა და ათ წუთში კთხურიდან ბურთი პირდაპირ კარში ჩაასრიალა. ეს მისი პირველი გოლი იყო პროფესიულ კარიერაში.

მაშინ „პრესტონს“ „ევერტონის“ ამჟამინდელი თავკაცი დევიდ მოიესი წვრთნიდა. დევიდმა კიდევ ოთხჯერ ითამაშა, მეორე გოლიც გაიტანა, მერე კი ალექს ფერგუსონმა ხელი დაავლო და ისევ მანჩესტერში ჩაიყვანა, ეს ბიჭი მე მჭირდებაო.

„პრესტონს“ ამჟამად ფინანსურად უჭირს და დევიდ ბექემის ნახეხი სკამის გაყიდვით გამდიდრებას აპირებს.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იტალიური ტრანსფერები 2003



დარიო უბნერი

ანკონა

მოვიდნენ
კარუზი (კალიარი)
ჯაკობო (მესინა)
ლუიზო (სალერნიტანა)
მონტერვინო (ნაპოლი)
მოსკარდი (ჯენოა)
მუსი (არეცო)
პეკარიზი (არეცო)
მადს იორგენსენი (ბრონდბიუ, დანია)
მილანეზე (პერუჯა)
პანდეკი (სპეცია)
დ. ანდერსონი (კიევი)
ბერეტა (ატალანტა)
დი ფრანჩესკო (პიაჩენცა)
ესპოზიტო (ჩიტადელა)
ბილიკა (ბრეშა)
უბნერი (პიაჩენცა)
სუსი (ტერნანა)
ვიალი (პერუჯა)

წავიდნენ
ბუდანი (პალერმო)
კერიონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დე პატრე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მაგონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მუნდულა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პასილია (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რიბიატი (ინტერი)
სკენარდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტარანა (პიაჩენცა)

ბოლონია

მოვიდნენ
გამბერინი (ვერონა)
როკატი (დანდი, შოტლანდია)
როსინი (ატალანტა)
დალა ბონა (მილანი)
გულიელმინპიეტრო (ინტერი)
მანინგერი (ტორინო)
ტროიზე (ნაპოლი)
ჟუარესი (კომო)
პეკია (კომო)

წავიდნენ
ვალკონე (სამპდორია)
პარამატი (რეჯინა)
სალვეტი (ვერონა)
ვანოლი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
არდიტო (სიენა)
ჩიარიანი (პიაჩენცა)
კოპოლა (ასკოლი)
ფრარა (ტერნანა)
ოლივე (ნაპოლი)

ემპოლი

მოვიდნენ
აგოსტინი (სიენა)
ფოჯა (ტრევიზო)
გასპარეტო (პრატო)
მირი (კატანია)
რაზაკი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი)
ბუჩი (ტორინო)
ვეტორი (პრატო)
მ. ძანეტი (ვიჩენცა)
ლანძარო (რომა)

წავიდნენ
ატცორი (პალერმო)
ბორიელო (მილანი)
კაპელინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გრიეკო (პარმა)
ვანუკი (პალერმო)
ბერტი (პალერმო)

მოდენა

მოვიდნენ
ტალდო (კომო)

წავიდნენ
მორეტი (პარმა)
ძამბონი (ნაპოლი)
ჯ. კოლუჩი (ბრეშა)
ფერარი (ალბინოლეფე)
კალია (ტორესი)
სკული (კიევი)

ბრეშა

მოვიდნენ
ალიარდი (კოზენცა)
კარაჩოლო (პერუჯა)
კასტელაცი (კატანია)
ჯ. კოლუჩი (მოდენა)
კორეა (მარტინა)
გონსალესი (სალერნიტანა)
გუანა (კალიარი)
მატუზალემი (პარმა)
ნიგაარდი (ექსელსიორი, ჰოლანდია)
სალგადო (ვერონა)
სტანკევიჩიუსი (კოზენცა)
ილანა (ვერონა)
ა. ლუკარელი (პალერმო)
რამონი (ტრიესტინა)

წავიდნენ
კორტელინი (ლუმეცანე)
ტონი (პალერმო)
აპია (იუვენტუსი)
ჯუნტი (ბეშიქთაში, თურქეთი)
გვარდიოლა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მიჩიოლო (კოზენცა)
სერენი (ლაციო)
სერიჩი (პარმა)
ბილიკა (ანკონა)

პერუჯა

მოვიდნენ
დო პრადო (კატანია)
ფილიპი (სამბენედეტეზე)
გატი (კატანია)
ჯედაფი (ალ იტიჰადი, საუდეთი)
ინოფო (აველინო)
მონაკო (კატანია)
პარიზი (რასინგი, არგენტინა)
ტერა (სორა)
დიამუტენე (ლუკეზე)
ალუ (ლიონი, საფრანგეთი)
ბიელანოვიჩი (კომო)
ბოტროიდი (ქოვენთრი, ინგლისი)
დი დიო (კატანია)
ტურჩი (სამბენედეტეზე)
სტენდარდო (სამპდორია)

წავიდნენ
ბარონიო (კიევი)
ბლაზი (პარმა)
კარაჩოლო (ბრეშა)
მიკოლი (იუვენტუსი)
მილანეზე (ანკონა)
რეზაეი (ზობ ჰანი, მაროკო)
სოლიანო (ნაპოლი)
ვიალი (ანკონა)
კროჩეტი (პეზარო)
გალერი (პეზარო)

რეჯინა

მოვიდნენ
დელ აკუა (ჩიტადელა)
ჰოტეკი (სლავია, ჩეხეთი)
ტედესკო (კოზენცა)
ბონაცოლი (პარმა)
ფალზინი (პარმა)
მარტინესი (ნაპოლი)
სოტილი (უდინეზე)
სტელონე (ნაპოლი)
ბაიოკო (იუვენტუსი)

წავიდნენ
კარდინალე (სალერნიტანა)
კანეირა (ბორდო, საფრანგეთი)
მაკრი (მარტინა)
მამედე (მესინა)
მორაბიტო (მესინა)
პიერინი (უდინეზე)
რიკა (მარტინა)
სავოლდი (ნაპოლი)
ძოპეტი (ასკოლი)

რომა

მოვიდნენ
დაგოსტინო (ბარი)
ლუპატელი (კიევი)
რანალი (კალიარი)
კიეუ (აიაქსი, ჰოლანდია)
დაკური (ლიდსი, ინგლისი)
მანჩინი (ატლ. მინეირო, ბრაზილია)

წავიდნენ
ალდაირი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფუზერი (ტორინო)
კაფუ (მილანი)
მარაცინა (სამპდორია)
ანტონიოლი (სამპდორია)
აკილანი (ტრიესტინა)
ფერონეტი (ტრიესტინა)
ლანძარო (ემპოლი)



ჯუზეპე ბანკარო

მილანი

მოვიდნენ
ბორიელო (ემპოლი)
კაფუ (რომა)
პანკარო (ლაციო)

წავიდნენ
ანტონინი (სამპდორია)
ალბერტინი (ლაციო)
ალიუ (რეჯანა)
ბა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბუდელი (ლეჩე)
შამოტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დომიცი (სამპდორია)
დონადელი (პარმა)
დონატი (სამპდორია)
ფავარო (პარმა)
ჰელვეგი (ინტერი)
სტეფანი (პარმა)
ლეონარდო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კუტუზოვი (კატანია)
აუბამეიანგი (ტრიესტინა)
კოლოჩინი (ვილიარეალი, ესპანეთი)
ხოსე მარი (ვილიარეალი, ესპანეთი)
დალა ბონა (ბოლონია)
სარი (კატანია)
გრაფიედი (ფიორენტინა)
ბაუ (ტრიესტინა)
რაბიტო (ლივორნო)

პარმა

მოვიდნენ
ბოლანო (სამპდორია)
დონადელი (მილანი)
ფავარო (მილანი)
გრიეკო (ემპოლი)
მარკიონი (პიაჩენცა)
მილოშევიჩი (ესპანიოლი, ესპანეთი)
პოჯი (ვენეცია)
სივილია (ატალანტა)
სტეფანი (მილანი)
ბლაზი (პერუჯა)
მორფეო (ინტერი)
კარდონე (ვიჩენცა)
მორეტი (მოდენა)
სერიჩი (ბრეშა)

წავიდნენ
ბასო (პრატო)
დიანა (სამპდორია)
მატუზალემი (ბრეშა)
ბონაცოლი (რეჯინა)
ტაფარელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვიტიელო (ვიჩენცა)
ლამუში (ინტერი)
ფალზინი (რეჯინა)

ლეჩე

მოვიდნენ
აბრუცეზე (ფ. ანდრია)
ბილი (ბასტია, საფრანგეთი)
ბუდელი (მილანი)
მორელო (ფ. ანდრია)
ნობილე (პოჯიბონზი)
პელიკორი (ვარეზე)
სავინო (ნაპოლი)
ტესტა (გუბიო)
ვინკლაარი (სორა)
ამელია (ლივორნო)
პანიკო (გელა)
რიცო (გუბიო)

წავიდნენ
კამორანი (სალერნიტანა)
დი ვიჩინო (სალერნიტანა)
ლასპალი (ნანტი, საფრანგეთი)
ლეო (ვიტერბეზე)
ლუცაჩი (ფ. ანდრია)
ჯ. როსი (სიენა)
კორალო (კროტონე)
დე ტომა (ვიტერბეზე)
ჩირილო (სიენა)
კოქუ (სორა)

ინტერი

მოვიდნენ
ბრნჩიჩი (ვენეცია)
ჰელვეგი (მილანი)
კარაგუნისი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი)
ლუსიანო (კიევი)
პერალტა (რასინგი, არგენტინა)
რობიატი (ანკონა)
ლამუში (პარმა)
ბინოტო (კომო)
ფადიგა (ოსერი, საფრანგეთი)
ფარინოსი (ვილიარეალი, ესპანეთი)
ვან. დერ მეიდე (აიაქსი, ჰოლანდია)

წავიდნენ
ბატისტუტა (ალ არაბი, ყატარი)
სემიოლი (კიევი)
სერენა (კომო)
ვივასი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მორფეო (პარმა)
დავალა უმითი (ვერდერი, გერმანია)
გულიელმინპიეტრო (ბოლონია)
პოტენცა (კიევი)

კიევი

მოვიდნენ
ბრუნო (ასკოლი)
დანჯელო (ნაპოლი)
გასტალდელო (იუვენტუსი)
პარო (იუვენტუსი)
სკული (მოდენა)
სემიოლი (ინტერი)
ვერონეზე (ვიჩენცა)
ძანკეტა (ვიჩენცა)
ამაური (მესინა)
მალაგო (ჯენოა)
სამარკო (ვიტერბეზე)
მარკეჯანი (ლაციო)
ბარონიო (პერუჯა)
ფრეცოლინი (ვენეცია)
სალა (ატალანტა)
ბარძალი (პიაჩენცა)
მორონე (პალერმო)
პინილია (უნივერსიდადი, ჩილე)
პოტენცა (ინტერი)
სანტანა (პალერმო)
კარბონე (ტრიესტინა)
დაგოსტინო (ნაპოლი)

წავიდნენ
ამბროზიო (ჩელსი, ინგლისი)
დ. ანდერსონი (ანკონა)
ბირჰოფი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დელა მორტე (ვიჩენცა)
ჯანელო (სიენა)
გრასადონია (კალიარი)
ლეგროტალიე (იუვენტუსი)
ლუსიანო (ინტერი)
რისპი (გიოტებორგი, შვედეთი)
ლუპატელი (რომა)
მ. ლონგო (ტერამო)
ლორენცი (ატალანტა)
ნალისი (ლესტერი, ინგლისი)
ბეგეტო (პიაჩენცა)
კორინი (პალერმო)
პასარინი (პატერნო)

სამპდორია

მოვიდნენ
ანტონინი (მილანი)
დიანა (პარმა)
დომიცი (მილანი)
დონატი (მილანი)
მარაცინა (რომა)
დონი (ატალანტა)
ფობ-ინიოკი (კრემონეზე)
მეკონგო-ონდოე (კრემონეზე)
იანაგისავა (კაშიმა, იაპონია)
კ. ძენონი (იუვენტუსი)
ფალკონე (ბოლონია)
ანტონიოლი (რომა)
ბიანკი (ლუკეზე)
კროციერი (ტერამო)

წავიდნენ
ბოლანო (პარმა)
კაზაცა (ლაციო)
გასბარონი (პალერმო)
მიკელი (პიაჩენცა)
პაგანინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პინატო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კუჩიარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბერნინი (ნაპოლი)
სტენდარდო (პერუჯა)
ტრიკარიკო (სპეცია)



დიეგო სიმეონე

იუვენტუსი

მოვიდნენ
ლეგროტალიე (კიევი)
მიკოლი (პერუჯა)
აპია (ბრეშა)
მარესკა (პიაჩენცა)
კამორანეზი (ვერონა)

წავიდნენ
არონიკა (მესინა)
ბონეფოი (მესინა)
გასტალდელო (კიევი)
ჯენტილე (მესინა)
ლავეკია (მესინა)
პარო (კიევი)
კ. ძენონი (სამპდორია)
სალასი (რივერ პლეიტი, არგენტინა)
ბაიოკო (რეჯინა)

სიენა

მოვიდნენ
დელი კარი (ტორინო)
ჯანელო (კიევი)
ვორია (აველინო)
დაგერსა (ტერნანა)
არდიტო (ბოლონია)
არანო (რასინგი, არგენტინა)
ჩირილო (ლეჩე)
ფოლიო (ატალანტა)
მენეგაცი (უუვენტუდე, ბრაზილია)
ჯ. როსი (ლეჩე)
ლაზეტიჩი (ლაციო)

წავიდნენ
აგოსტინი (ემპოლი)
ფორტინი (ტრევიზო)
კავალო (ჯენოა)
მანდელი (ტორინო)
მარტინელი (ტორინო)
პინგა (ტორინო)
სკალეტა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტალიალატელა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტირიბოკი (ტორინო)
რადიჩე (პიაჩენცა)
ბრამბილა (კალიარი)
ჟირარდელო (ჯენოა)

უდინეზე

მოვიდნენ
ბედინი (კოზენცა)
გარგო (ვენეცია)
გუტიერესი (მესინა)
გ. მარტინესი (ნაპოლი)
ნალიცისი (აეკ, საბერძნეთი)
პაზენცა (ფოჯა)
ლ. ელგერა (ალავესი, ესპანეთი)
პიერინი (რეჯინა)
გოიტომი (ვასალუნდი, ფინეთი)

წავიდნენ
ბონაიუტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სოტილი (რეჯინა)
ვარლეი (სან პაულუ, ბრაზილია)

ლაციო

მოვიდნენ
ინოჩენტი (ბარი)
კ. მანფრედინი (ოსასუნა, ესპანეთი)
მენდიეტა (ბარსელონა, ესპანეთი)
დაბო (ატალანტა)
ოლა (აკილა)
ძაური (ატალანტა)
სერენი (ბრეშა)
ალბერტინი (მილანი)
კაზაცა (სამპდორია)

წავიდნენ
კონჩეტი (პერუჯა)
ლაზეტიჩი (სიენა)
მარკეჯანი (კიევი)
პანკარო (მილანი)
სიმეონე (ატლეტიკო, ესპანეთი)

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჩეხეთი. I ტური						
		26 ივლისი						
17.25	001	ტეპლიცე-სპარტა	3,2	3,1	2,2	1,57	1,3	1,28
20.15	002	პრეიბრამი-იაბლონეცი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
20.15	003	სიგმა-ზლინი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
20.15	004	სლავია-ეიქკოვი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		28 ივლისი						
19.40	005	ბანიკი-ბუდეიოვიცე	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		სლოვაკეთი. II ტური						
		26 ივლისი						
21.00	006	დუბნიცა-ბ.ბისტრიცა	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
21.00	007	სლოვანი-ტრენჩინი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	008	სლოვანი-ტრენჩინი 0:1	1,9	3,2	2,7			
21.00	009	რუჟომბეროკი-ინტერი	2,3	3,2	3,1	1,33	1,32	1,57
21.00	010	პეხოკი-ტრნავა	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
23.00	011	ჟილინა-პეტრჟალკა	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
		დანია. I ტური						
		26 ივლისი						
20.00	021	ოლბორგი-კოპენჰაგენი	3,2	3,2	2,15	1,6	1,28	1,28
		27 ივლისი						
18.00	022	ესბიერგი-ორჰუსი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
18.00	023	ნორდსიელანდი-აკადემისკი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
18.00	024	მიდტიელანდი-ვიბორგი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
18.00	025	ოდენსე-ფრედი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
	026	ოდენსე-ფრედი 0:1	2,05	3,2	2,45			
20.35	027	ბრიონდბიუ-ჰერფიოლგე	1,4	4,2	7,0	1,04	1,16	2,62
	028	ბრიონდბიუ-ჰერფიოლგე 0:1	1,95	3,2	2,6			
		ავსტრია. I ტური						
		26 ივლისი						
21.00	035	მატერსბურგი-შტურმი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
		შვეიცარია. III ტური						
		26 ივლისი						
22.30	038	ბაზელი-ქსამაქსი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	039	ბაზელი-ქსამაქსი 0:1	1,9	3,2	2,7			
22.30	040	სერვეტი-თუნი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
22.30	041	სტ.გალენი-აარაუ	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
22.30	042	იანგ ბოისი-ციურიხი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
		სლოვენია. II ტური						
		26 ივლისი						
23.00	044	გორიცა-შმარტნო	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
23.15	045	მარიბორი-პ.დრავა	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21
		27 ივლისი						
20.30	046	დრავოგრადი-ოლიმპია	4,8	3,8	1,6	2,12	1,2	1,12
20.30	047	პუბლიკუმი-ჰერა	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
20.30	048	ლიუბლიანა-პრიმორიე	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
		ხორვატია. I ტური						
		26 ივლისი						
21.00	052	მარსონია-ვარტიკსი	3,4	3,3	2,0	1,67	1,25	1,24
21.00	053	სლავენი-კამენი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
23.00	054	დინამო-ზაღარი	1,2	5,6	8,0	1	1,04	3,29
23.00	055	ოსიეკი-ირკერი	1,7	3,5	4,4	1,14	1,22	1,94
		27 ივლისი						
21.00	056	ჰაიდუკი-ზაგრები	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		რუსეთი. XVIII ტური						
		26 ივლისი						
16.00	081	ალანია-ტორპედო	2,3	2,7	2,4	1,24	1,17	1,27
16.00	082	კრილია-შინიკი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
16.00	083	ლოკომოტივი-როტორი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	084	ლოკომოტივი-როტორი 0:1	1,75	3,2	3,0			
16.00	085	ჩერნომორეცი-დინამო	3,0	3,1	2,3	1,52	1,3	1,32
16.00	086	როსტოვი-რუბინი	1,75	3,1	4,8	1,11	1,28	1,88
16.00	087	სატურნი-სპარტაკი	2,1	3,1	3,4	1,25	1,29	1,62
		შვედეთი. XVI ტური						
		28 ივლისი						
22.00	091	ჰამარბი-ლანდსკრონა	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
22.00	092	ჰელსინგბორგი-ელფსბორგი	1,7	3,5	4,4	1,14	1,22	1,94
22.00	093	მალმიო-სუნდსვალი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	094	მალმიო-სუნდსვალი 0:1	1,9	3,2	2,7			

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია						
		XIVტური						
		27 ივლისი						
21.00	096	ტრომსიო-ალესუნდი	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
21.00	097	ბრინი-ვიკინგი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
21.00	098	სტაბეკი-სოგნდალი	1,9	3,5	3,4	1,23	1,21	1,72
21.00	099	მოლდე-ოდ გრენლანდი	1,8	3,5	3,6	1,18	1,19	1,77
21.00	100	ბრანი-ლინი	2,15	3,5	2,8	1,33	1,21	1,55
21.00	101	ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი	1,85	3,6	3,4	1,22	1,19	1,74
23.15	102	ვოლეერენგა-როსენბორგი	5,3	3,8	1,55	2,21	1,19	1,1
		ფინეთი						
		XIV ტური						
		26 ივლისი						
19.00	107	აარჰუ-კუოპიო	1,8	3,4	3,8	1,17	1,22	1,79
		27 ივლისი						
18.00	108	ჰიკ-ინტერი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
20.30	109	ჯუსი-ლაჰტი	2,1	3,3	3,2	1,28	1,26	1,62
		28 ივლისი						
20.30	110	იოკერიტი-ჰაამეენლინა	1,9	3,4	3,5	1,21	1,23	1,72
20.30	111	ტერკუ-ჰაკა	4,2	3,4	1,75	1,87	1,23	1,15
		ბრაზილია						
		XXII ტური						
		26 ივლისი						
24.00	127	სანტოსი-ვასკუ და გამა	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
24.00	128	გოიასი-ატლეტიკო მნ	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
24.00	129	ატლეტიკო პრ-პაისანდუ	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
		27 ივლისი						
24.00	130	ფორტალეზა-პონტე პრეტა	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
24.00	131	ვიტორია-პარანა	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
24.00	132	კრიციუმა-კურიტიბა	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
24.00	133	გუარანი-ფიგეირენსე	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
24.00	134	ფლამენგო-სან პაულუ	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
24.00	135	ჭეკენტეკი-ფლუმინენსე	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
24.00	136	კორინთიანსი-გრეკიო	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
24.00	137	კრეისეირო-ბაია	1,3	4,8	8,0	1,02	1,11	3
24.00	138	ინტერნასიონალი-სან კაეტანო	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
		გერმანია						
		ლიგის თასი						
		28 ივლისი						
23.30	145	დორტმუნდი-ჰამბურგი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
		საფრანგეთი.						
		სუპერთასი						
		26 ივლისი						
20.45	146	ლიონი-ოსერი	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
		ინტერტოტოს თასი						
		III ეტაპი						
		II მატჩები.						
		26 ივლისი						
18.30	158	ვერდერი-ნიცა	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	159	ალიანსი-პერუჯა	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23
20.30	160	კიპერი-ეგალეო	1,55	3,8	5,3	1,1	1,19	2,21
20.30	161	ვილი-ნანტი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
21.00	162	ვოლფსბურგი-სინიტი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
22.00	163	ლიერსი-პერუჯეა	2,1	3,3	3,2	1,28	1,26	1,62
22.15	164	შალკე-ლანია	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
22.30	165	ჰაბნგი-ტობილი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
23.00	166	ბრნი-გენგამი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
23.00	167	ლიბერეეცი-რასინგი	1,8	3,4	3,8	1,17	1,22	1,79
23.45	168	ბრეშა-ვალენციენალი	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
21.00	169	ციბალია-ტამპერე	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		ეჩ 19 წლამდე (ლიხტენშტაინში)						
		26 ივლისი						
23.00	176	პორტუგალია-იტალია	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

interwetten.com

ინტერვეტენი (ავსტრია)

ინტერტოტოს თასი

III ეტაპი. საპასუხო მატჩები

26 ივლისი

ვერდერი — ნიცა	1,65	3,3	4,4
ალიანსი — პერუჯა	2,7	3,2	2,2
ვილი — ნანტი	2,4	3,2	2,4
ვოლფსბურგი — სინოტი	1,4	3,9	6,0
ციბალია — ტამპერე	1,5	3,7	5,0
შალკე — დაჩია	1,15	6,0	12,0
პაშინგი — ტობოლი	1,35	4,0	7,0
ბრნო — გენგამი	2,3	3,2	2,5
ლიბერეცი — რასინგი	1,8	3,3	3,6
ბრეშა — ვილიარეალი	1,9	3,3	3,3

ამხანაგური მატჩები

26 ივლისი

უნიონი — ჰანზა	2,5	3,3	2,1
ზალცბურგი — შტუტგარტი	2,2	3,3	2,4

27 ივლისი

იუვენტუსი — ბარსელონა	2,2	3,3	2,4

გერმანია

ლიგის თასის ფინალი

28 ივლისი

დორტმუნდი — ჰამბურგი	2,2	3,0	2,9

საფრანგეთი. სუპერთასი

26 ივლისი

ლიონი — ოსერი	1,75	3,2	4,0

ავსტრია. გადადებული მატჩი

26 ივლისი

მატერსბურგი — შტურმი	2,7	3,0	2,3

ავსტრია

III ტური

30 ივლისი

რაპიდი — ადმირა	1,6	3,4	4,6

შვეიცარია

III ტური

26 ივლისი

ბაზელი — ქსამაქსი	1,3	4,2	8,0
სერვეტი — თუნი	1,55	3,5	4,8
სენტ გალენი — აარაუ	2,3	3,0	2,7
იანგ ბოისი — ციურიხი	1,9	3,1	3,5

დანია

I ტური

26 ივლისი

ოლბორგი — კოპენჰაგენი	2,6	3,0	2,2

27 ივლისი

ესბიერგი — ორჰუსი	2,0	3,0	2,9
ნორდსაელენდი — აკადემისკი	1,9	3,1	3,0
მიდტიულანდი — ვიბორგი	1,85	3,1	3,2
ოდენსე — ფრემი	1,5	3,5	4,5
ბრონდბიუ — ჰერფიოლგე	1,4	3,7	5,3

შვედეთი.

გადადებული მატჩები

28 ივლისი

ჰამარბი — ლანდსკრონა	1,55	3,3	4,5
ჰელსინგბორგი — ელფსბორგი	1,8	3,2	3,3
მალმიო — სუნდსვალი	1,35	3,8	6,2

ნორვეგია. XIV ტური

27 ივლისი

ბოდიო გლიმტი — ლილესტრიომი	2,0	3,3	2,7
ბრანი — ლინი	2,0	3,3	2,7
ბრინი — ვიკინგი	2,3	3,1	2,3
მიოლდე — ოდ გრენლანდი	1,9	3,4	2,8
სტაბეკი — სოგნდალი	1,8	3,4	3,1
ტრომსიო — ალესუნდი	1,65	3,5	3,5
ვოლერენგა — რუსენბორგი	3,5	3,5	1,65

ფინეთი. XIV ტური

26 ივლისი

იარო — კუოპიო	1,85	3,0	3,3

27 ივლისი

ჰიკ — ინტერი	1,7	3,1	3,8
ჯაზი — ლაჰტი	2,2	3,0	2,6

28 ივლისი

ტურკუ — ჰაკა	3,1	3,0	1,9
იოკერიტი — ჰაამენლინა	1,9	3,0	3,1

ჩეხეთი. I ტური

26 ივლისი

ტეპლიცე — სპარტა	2,8	3,1	2,0
პრჟიბრამი — იაბლონეცი	1,8	3,2	3,3
სიგმა — ზლინი	1,75	3,2	3,5
სლავია — ჟიჟკოვი	1,5	3,5	4,5

28 ივლისი

ბანიკი — ბუდეიოვიცე	1,45	3,6	4,8

რუსეთი. პრემიერლიგა. XVIII ტური

26 ივლისი

ლოკომოტივი — როტორი	1,4	3,6	5,5
სატურნი — სპარტაკი	2,2	3,1	2,5
სპარტაკ-ალანია — ტორპედო	2,5	3,1	2,2
კრილია სოვეტოვი — შინიკი	1,75	3,3	3,4
ჩერნომორეცი — დინამო	2,7	3,1	2,1
როსტოვი — რუბინი	1,85	3,1	3,2

William HILL

უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

ინტერტოტოს თასი

III ეტაპი. საპასუხო მატჩები

26 ივლისი

ვერდერი — ნიცა	1,57	3,5	5,0
ალიანსი — პერუჯა	3,2	3,2	2,0
კოპერი — ეგალეო	1,72	3,4	4,0
ვილი — ნანტი	2,75	3,2	2,25
ციბალია — ტამპერე	1,57	3,5	5,0
ვოლფსბურგი — სინოტი	1,33	4,0	8,0
ლიერსი — ჰერენვენი	2,0	3,2	3,2
შალკე — დაჩია	1,2	5,5	9,5
პაშინგი — ტობოლი	1,4	3,75	7,0
ბრნო — გენგამი	2,2	3,2	2,8
ლიბერეცი — რასინგი	1,8	3,3	3,75
ბრეშა — ვილიარეალი	1,83	3,3	3,6

საფრანგეთი. სუპერთასი

26 ივლისი

ლიონი — ოსერი	1,72	3,1	4,5

ავსტრია. გადადებული მატჩი

26 ივლისი

მატერსბურგი — შტურმი	2,5	3,3	2,37

დანია. I ტური

26 ივლისი

ოლბორგი — კოპენჰაგენი	2,75	3,25	2,2

27 ივლისი

ესბიერგი — ორჰუსი	2,0	3,2	3,2
მიდტიულანდი — ვიბორგი	1,83	3,3	3,6
ნორდსაელენდი — აკადემისკი	1,9	3,25	3,4
ოდენსე — ფრენი	1,53	3,6	5,0

ფინეთი

XIV ტური

27 ივლისი

ჰიკ — ინტერი	1,5	3,6	5,5
ჯაზი — ლაჰტი	2,1	3,3	2,87

28 ივლისი

იოკერიტი — ჰაამენლინა	1,9	3,25	3,4
ტურკუ — ჰაკა	3,5	3,5	1,8

ნორვეგია

XIV ტური

27 ივლისი

ბოდიო გლიმტი — ლილესტრიომი	1,8	3,3	3,75
ბრანი — ლინი	2,4	3,4	2,4
ბრინი — ვიკინგი	2,62	3,2	2,3
მიოლდე — ოდ გრენლანდი	1,8	3,5	3,5
სტაბეკი — სოგნდალი	1,8	3,5	3,5
ტრომსიო — ალესუნდი	1,66	3,4	4,33
ვოლერენგა — რუსენგბორგი	4,5	3,75	1,57

შვედეთი. გადადებული მატჩები

28 ივლისი

ჰამარბი — ლანდსკრონა	1,57	3,5	5,0
ჰელსინგბორგი — ელფსბორგი	1,8	3,25	3,8
მალმიო — სუნდსვალი	1,36	4,0	7,0

შვეიცარია. III ტური

26 ივლისი

ბაზელი — ქსამაქსი	1,4	1,33	5,5
სერვეტი — თუნი	1,61	3,5	4,5
სენტ გალენი — აარაუ	1,8	3,4	3,6
იანგ ბოისი — ციურიხი	1,83	3,3	3,6

ბრაზილია. XXII ტური

27 ივლისი

ატლ. პარანენსე — პაისანდუ	1,4	3,75	7,0
გოიასი — ატლ. მინეირო	2,2	3,3	2,7
სანტოსი — ვასკუ და გამა	1,44	3,5	7,0

28 ივლისი

კორინთიანსი — გრემიო	1,5	3,4	6,0
კრისიუმა — კურიტიბა	1,8	3,3	3,75
ფლამენგო — სან პაულუ	2,75	3,25	2,2
ფორტალეზა — პონტე პრეტა	1,61	3,5	4,5
გუარანი — ფიგეირენსე	1,61	3,5	4,5
ჟუვენტუდე — ფლუმინენსე	1,72	3,4	4,0
ვიტორია — პარანა	1,57	3,5	5,0
კრუზეირო — ბაია	1,28	4,5	8,0
ინტერნასიონალი — სან კაეტანო	1,53	3,6	5,0



„არის, ასრულდა ოცნება“ — ზაზა ფაჩულიას უკვე შეუძლია ამ სიტყვების თქმა და, იქნებ, თქვა კიდევაც გუშინ, როცა ის ოფიციალურად ჩაირიცხა „ორლანდო მეჯიქში“. ზაზას ბავშვობის ოცნება ნბა-ში თამაში იყო და ეს ჯერ კიდევ კალათბურთელად ჩამოყალიბებამდე, კარიერის გარიჟრაჟზე გაგვიმხილა. გუშინ ზაზას ეს ოცნება აუხდა, „მეჯიქის“ წარმომადგენლებმა ფაჩულიას პატარებთან საკალათბურთო გაკვეთილი ჩაატარებინეს და შემდეგ პირდაპირ „ორლანდოს“ ოფისში წაიყვანეს, სადაც გაუფორმეს კიდეც ორწლიანი კონტრაქტი. როცა ზაზას დავუკავშირდით, ფლორიდაში ღამის სამი საათი იქნებოდა, მაგრამ კაცს, რომელსაც, ეს-ესაა, ოცნება რეალობად ექცა, ამ დროისთვის არ ეძინა, უბრალოდ ვერ იძინებდა, აფორიაქებულს, იქნებ, ვინიმესთან ლაპარაკი სწყუროდა...

ოცნებების სამშობიარო ფაჩულია 27-ე ცაზე

— გილოცავ, შენი ოცნება ახდენილია?

— ახდენილია. ნბა-ში მოვხვდი და ამით მთავარ მიზანს მივაღწიე, თუმც წინაც რომ დიდი გამოცდა მელის, ისიც ვიცი.

— წინასწარ იცოდი, კონტრაქტს რომ გიფორმებდნენ?

— არა, დღეს დილით ხომ გელეპარაკე, კალათბურთის გაკვეთილის ჩასატარებლად მივყავართ-მეთქი, რომ მცოდნოდა, რა, დავმალავდი? ბავშვები ცოტა ხანს ვავარჯიშე, მოვრჩი და კლუბის წარმომადგენლებმა მითხრეს, წამო, კონტრაქტი უნდა გაგიფორმოთო. თავიდან ხუმრობა მეგონა, მაგრამ ისეთი სახეები ჰქონდათ, მალევე დავუჯერე და გავყევი. „ორლანდოს“ ოფისში მივედით, კლუბის გენერალურ მენეჯერ ჯონ გაბრიელის კაბინეტში. გული საშინლად მიფანცქალებდა, ვფიქრობდი, აი, ის წუთები, რაზეც ათასჯერ და ათი ათასჯერ მიოცნებია-მეთქი, მაგრამ სანამ კონტრაქტს ხელს მოვაწერდი, საათზე მეტი გავიდა.

— რამე პრობლემა შეიქმნა, თუ პირობებს ათანხმებდით?

— არა, პირობებზე კარგა ხნის წინ შეუთანხმდნენ ჩემს მენეჯერ მარკ ფლეიშერს და სწორედ მის საბოლოო დასტურს ელოდნენ, ისე ვერ დამიდებდნენ ხელშეკრულებას.

— საათზე მეტი უცდიდით ფლეიშერს?

— ვუცდიდით, სანამ ფლეიშერი თავის ოფისში მივიდოდა. ნიუ იორკში იყო და ფაქსით უნდა დაედასტურებინა თანხმობა. ფლეიშერმა საქმეები სანამ არ მოათავა, გაბრიელის კაბინეტში ბოლთას ვცემდი.

— ვინ დაესწრო კონტრაქტის გაფორმების აქტს?

— ხუთნი ვიყავი, მე და გაბრიელი თავის სამ თანაშემწესთან ერთად. თითქმის ყველას ამ „ჯგუფმა“ გაუფორმა, მხოლოდ ჯონ ჰოვარდის გუნდში ჩარიცხვის ცერემონიას დაესწრო, მგონი, მთელი „ორლანდო“.

— მაისურა არ გადმოგცეს?

— არა. მხოლოდ ის მაისურა მაქვს, რომლითაც საზაფხულო კემპზე ვთამაშობდი. ის კი გადაწყდა, რომ 27 ნომერი ვიქნები.

— კონტრაქტი რამდენწლიანია და რა პირობებია?

— ორწლიანი, თანხის თქმის უფლება არ მაქვს, ასე შევუთანხმდი ორლანდოელებს.

— „ორლანდო სენტინელში“ გამოქვეყნებულ სტატიაში წერია, რომ ერთწლიანი კონტრაქტია, კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით...

— ეგ მე არ ვიცი, ორწლიან ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი, რა მაქვს დასამალი?

— როგორც ჩანს, თურქებთან პრობლემა მოგვარდა, რამე ხომ არ გმართებს „ულქერის“?

— არაფერი, „ულქერი“ ფულს მხოლოდ „ორლანდოსგან“ მიიღებს, მე ყველაფრისგან თავისუფალი ვარ.

— შენთვის მნიშვნელოვანი კიდევ რა ეწერა კონტრაქტში?

— ისეთი არაფერი. ყველაზე მთავარი ჩემთვის ისაა, რომ კონტრაქტი გაფორმდა და ორლანდოელი გავხდი. საერთოდ, ნბა-ს კალათბურთელთა პირობები მხოლოდ ფულის ოდენობით განისაზღვრება, გიხდიან თანხას და ყველაფერი შენით უნდა მოიწესრიგო. ბინა, მანქანა, კვება — ყველაფერს კალათბურთელის ხელფასი უნდა გასწვდეს.

— ახლა რას აკეთებ, როგორ აღნიშნე „ორლანდოში“ ჩარიცხვა?

— გუნდიდან აქ არავინაა, „ორლანდოს“ მხოლოდ ერთი ახალგაზრდა მუშაკი და აქ გაცნობილი რამდენიმე ბიჭი წავიყვანე ერთერთ რესტორანში სავახშმოდ. პატარა სუფრა გავშალე, ყველამ მომილოცა „ორლანდოში“ ჩარიცხვა. ახლა საკუთარ ნომერში ვარ და ვერ ვიძინებ, ტელევიზორს ვუყურებ.

— ახლა რას აპირებ?

— ხვალ თურქეთში მივდივარ. „ულქერში“ მივალ, მოვინახულებ გუნდის ხელმძღვანელობას, ხუთი წელი იქ ვიყავი და ჩემს წარმატებაში შეტანილი წვლილისთვისაც მადლობას გადავუხდი. შემდეგ ორიოდ კვირით ანთალიაში დავისვენებ და თბილისში ჩამოვალ.

— „ორლანდოში“ როდისთვის გელიან?

— შეკრება ოქტომბრიდან გვეწყება, მე კი აგვისტოში მინდა ჩამოსვლა და ვარჯიში.

ირაკლი პერტაია

შეუნიშნავი შვიდეული

დრაფტის პატარა დიდი კაცები



კიტ ბოგანსი

ჟარკო ჩაბარკაპა

ჩაიარა სადრაფტო ნიაღვარმა, რომელმაც რჩეულებს ყურადღება და სარფი მოუტანა, ბევრი კი ნაპირზე გარიყა. ეს ბიჭები ახლა საზაფხულო ლიგებში ღვრიან ოფლს და საკუთარი ტყავიდან ძვრებიან, ვინმემ მოწყალე მზერა რომ მიაპყროს და ხელფასი უბოძოს.

ქვემოთ იმ ახალბედების შვიდეულს გთავაზობთ, რომელნიც, ამერიკელი სპეციალისტების აზრით, ყველაზე მეტად გამოირჩნენ ამა თუ იმ საზაფხურო ლიგაში. ცხადია, აქ ვერ ნახავთ დრაფტის პირველ ნომერსა და ნბა-ში მისვლამდე გაფეტიშებულ ლებრონ ჯეიმსს, ასევე დენვერელთა რჩეულ კარმელო ენტონის, ანაც დეტროიტელ დარკო მილიჩიჩს. საზაფხულო ლიგა ამათი ლიგა არაა. მათ კონტრაქტიც გარანტირებული აქვთ და ძირითადში ადგილიც. ამიტომაც საზაფხულო ლიგების ერთ-ერთ დანიშნულებას შედარებით ბუნდოვანი მომავლის მქონე კალათბურთელთა აღმოჩენა წარმოადგენს.

აი ამ ზაფხულის აღმოჩენები:

მარკუს ბენქსი

ბოსტონი

დრაფტის მე-13 ნომერი

ნევადა-ლას ვეგასის უნივერსიტეტიდან მოსულ ტანდაბალ გამთამაშებელ მარკუს ბენქსს განსაკუთრებით სისწრაფესა და დაცვას უქებენ. იშვიათი სისხარტის ხარჯზე, ის ხშირად პარავს ბურთს მეტოქეს, თუმცა მას ხანდახან აქეთაც პარავენ ბურთს.

კიტ ბოგანსი

ორლანდო 43-ე ნომერი

ეს ბიჭი „ორლანდომ“ „მილუოკისგან“ მიიღო. 43 ნომრის კვალობაზე შეუფერებელად ყოჩაღი გამთამაშებელია. ბოგანსი ზაზა ფაჩულიასთან ერთად „ჯადოქართაგან“ საუკეთესო იყო ორლანდოს საზაფხულო კემპზე. მასზე ამბობენ, მომავალი მაიკლ რედიაო.

ჟარკო ჩაბარკაპა

ფინიქსი მე-17 ნომერი

განსწავლული და ევროლიგაში გამობრძმედილი ახმახი სერბი. ფინიქსელები ზეიმობენ, მეორე ამარე სტუდემაიერი დავითრიეთო. ჟარკო ძალიან კარგად მოერგო სოლტ ლეიკ სიტის კემპს და აქამდე ნათამაშებ ოთხ მატჩში საშუალოდ 18,3 ქულასა და 8 მოხსნას იხვეჭს.

ჯოშ ჰოვარდი

დალასი 29-ე ნომერი

კუნთმაგარი და გამჭრიახი ფორვარდი ჩრდილო კაროლინიდან. ტეხასელებმა უმალ იყნოსეს ნიჭის მაღალი დოზა და დრაფტის შემდეგ არც „ამოასუნთქეს“, მაშინვე გაუფორმეს კონტრაქტი.

ბრენდონ ჰანტერი

ბოსტონი 56-ე ნომერი

დრაფტის ყველაზე დიდი უსამართლობის ჯოხი ამ ჯეელის თავზე გადატყდა. მის უკან მხოლოდ ვინმე ჩინელი და ბერძენი აირჩიეს, ჰანტერი კი ბარე ათეულში მოხვედრას იმსახურებდა იმ თამაშით, ბოსტონურ კემპზე რომ აჩვენა. მას ჯერჯერობით ვერავინ ჯობს თამაშიდან ჩაგდებული ბურთების პროცენტულ მაჩვენებელში — ათიდან თითქმის შვიდ სროლას აგდებდა. ჰანტერი არც სხვა სტატისტიკურ ერთეულებში მოიკოჭლებს და „სელტიქსის“ ხუთეულში თუ მოხვდა, ამბავი ის იქნება.

მატიეჟ ლამპე

ნიუ იორკი 30-ე ნომერი

დრაფტის მონაწილე კლუბები ყველაზე მეტად ამ პოლონელში შეცდნენ. თითქმის ყველა სპეციალისტი ლამპეს ათეულში მოხვედრას უქადდა, მაგრამ ის პირველ წრეშიც კი არ აირჩიეს. ნიუიორკელები მას მე-7 ნომრად აყვანას დაჰპირდნენ, მაგრამ მერე პირი უტეხეს და ბედის ირონიით, ნიუიორკელთა მომდევნო, 30-ე არჩევანამდე ლამპეს ხელი არავინ დაადო. მადრიდის „რეალის“ ყოფილი სათადარიგო ფიცარნაგიდან 210 სანტიმეტრზე მეტს ითვლის, თუმც სამქულიანებს პანტაპუნქტით კი ყრის.

და ზაზა ფაჩულია

ორლანდო 42-ე ნომერი

მას დღეს უკვე კონტრაქტი აკავშირებს „ორლანდოსთან“. არადა, სტამბოლის „ულქერში“ მისი სტატისტიკა თვალისმომჭრელი არ ყოფილა და ამერიკაში ჩასულს მრავალთა დარი რეკლამაც არ ჩაჰყოლია. პირველ წრეში არჩევას ელოდა, მაგრამ მეორმოცე კლუბმა რომ ჩაიარა და კვლავ უგუნდოდ იყო, ამრჩევთა გულუბრყვილობაზე დაიბოღმა და ამ ბრაზისგან ორლანდოურ კემპზე ბოლომდე დაიცალა. ფაჩულიამ საკუთარი ოფლითა და მარჯვენით შეაღო ნბა-ს მძიმე კარი და დაამტკიცა ის, რაზეც დრაფტის საღამოს ძალიან ბრაზობდა — მრავალი კლუბის უფროსი ჩემში შეცდაო.

ფაჩულიას ნიჭისა და ორლანდოელთა ცენტრების შემხედვარე, არც ის იქნება გასაკვირი, თუ ზაზა „ჯადოქართა“ ხუთეულში მოიპოვებს ადგილს. ის თამაში, ორლანდოურ კემპზე რომ ვაჩვენე, ჩემი მაქსიმუმი არ ყოფილაო, ამბობს ფაჩულია. თუ ეს მართალია, სამარჩიელოც არაფერი გვქონია.

ირაკლი პერტაია



ნიჯა ცქიტიშვილი ეტყობა, მართლა გადაიღალა. გუშინწინ სოლტ ლეიკ სიტის საზაფხულო ლიგის თამაშში „დენვერის“ ქართველმა ფორვარდმა „ფინიქს სანზის“ წინააღმდეგ 30 წუთი ითამაშა და 10 ქულას დასჯერდა

სკიტამ პრობლემა ბურთივით მოხსნა

20 წლის ახალგაზრდასთვის ეს არ არის ურიგო შედეგი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ცქიტიშვილს საკმაოდ ბევრი, 12 სროლა დასჭირდა 10 ქულის მოსაგროვებლად, ჩაგდებული ბურთების პროცენტულობას კი ამერიკელები, იცოცხლეთ, ყურადღებას აქცევენ.

მეორეს მხრივ, „ცქიტო“ შექების ღირსიცაა, მან 9 ბურთი მოხსნა, რაც იმ მატჩში ვერავინ მოახერხა. აქამდე ნიკას ყველაზე დიდი მინუსი ალბათ ის იყო, რომ 213 სანტიმეტრი სიმაღლისა მოხსნებს მწირად იხვეჭდა. მართალია, ცქიტიშვილი ადრე ფრთის პოზიციაზე, ფარისგან შედარებით მოშორებით თამაშობდა, მაგრამ ასეთი სიმაღლის მქონესთვის მატჩში 2-3 მოხსნა მაინც ძალიან ცუდი შედეგია.

ახლა კი, როგორც ჩანს, ნიკას კარგად შეუსწავლია ფარსაცილეობული ბურთების დაუფლების ხელობა, რადგან, აგერ, მერამდენე მატჩია, ამ მაჩვენებელში იგი თითქმის ყოველთვის სჯობს თანაგუნდელ „ამბალებს“ — ნენე ილარიოს, ფრანცისკო ელსონს და სხვებს.

„დენვერმა“ კი ძალიან იოლად, 119:78 მოუგო საკმაოდ სოლიდურ „ფინიქსს“. „მზეებს“ შემადგენლობაში ჰყავდათ ნბა-ს ბოლო ორ სეზონში ნაბურთავები ჯო ჯონსონი, იაკე ცაკალიდისი, კეისი ჯეკობსენი და წლევანდელი დრაფტის ჯერჯერობით ყველაზე ყოჩაღი ევროპელი ჟარკო ჩაბარკაპა...

გუშინ „დენვერმა“ დაისვენა და კემპის საფინალო მატჩს დღეს გამართავს „პორტლენდთან“.

უძლეველი არმადა ალპებს შეესია



REUTERS ინდიანაპოლისიდან

პარადორნ შრიჩფანი თავის საფარზეა

GENERALI OPEN
კიცბიუელი. თიხნარი
საპრიზო 925 ათასი ევრო

მესამე წრე

მარიანო საბალეტა (9, არგენტინა) — იუნეს ელ აინაუი (5, მაროკო) ელ აინაუის არ უთამაშია; გასტონ გაუდიო (7, არგენტინა) — ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) 6:4, 3:6, 6:4; ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ნიკოლაი დავიდენკო (11, რუსეთი) 6:3, 6:1; ფელისიანო ლოპესი (13, ესპანეთი) — პოლანრი მათიო (საფრანგეთი) 3:6, 6:3, 3:0 მათიომ შეწყვიტა; ნიკოლას მასუ (ჩილე) — სარგის სარგსიანი (14, არმენია) 6:2, 6:2

რაც უფრო ცოტა მეჩოგნე რჩება კიცბიუელურ თიხნარზე, ესპანური ენა ალპებში უფრო მით დომინანტურ მდგომარეობას იკავებს.

თავადვე განსაჯეთ: მართალია, უდროოდ წამოსული წვიმის გამო გუშინ მხოლოდ ხუთი შეხვედრა მოთავდა, მაგრამ, ჯერ ერთი, ხუთივეში სწორედ ესპანურენოვნებმა იმარჯვეს. მეორეცაა და, მოუმთავრებელ სამშიც ფავორიტები სწორედ ამავე ენით მოსაუბრენი არიან — პირველმეჩოგნე ხუან კარლოს ფერერი, რომელიც ბრაზილიელ სარეტას უნდა შეხვედროდა, ფერერი-სმომდევნო გილერმო კორია, ვისაც ფრანგი მუტისთვის უნდა მოეგო და მერვე ნომრად განთესილი ხუან იგნასიო ჩელა, ცის მორღვევამდე ბელარუს მირნის 6:4, 1:3 რომ უგებდა.

ერთი სიტყვით, წლევანდელი კიცბიუელობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ თიხნარი ესპანელთა და მათი ისტორიული განაყრების სათულფე საფარია...

ახლა — იმდღევანდელ თამაშებზე უფრო დაწვრილებით.

ტურნირის 2001 წლის ჩემპიონმა ნიკოლას ლაპენტიმ წინა წრეში მიხაილ იუჟნის ბერტყვა არ იკმარა და მას მეორე რუსი, ნიკოლაი დავიდენკოც მიაყოლა. 26 წლის ეკვადორელი ახლა ისევე ჩაუქად ჩოგნაობს, როგორც რომ ორი კვირის წინ, როცა ბასტადურ ფინალშიც გააღწია.

მაგრამ მომავალ შეხლას ის არანაკლებ ჯგირო ფორმაში მყოფ ნიკოლას მასუსთან გამართავს. მასუმ, ვინაც წინა უქმეებზე ამსტერდამის ტურნირი აიკლო, მეოთხედფინალში გასასვლელად სომეხი სარგსიანი აოტა.

ბასტადურ ფინალში ლაპენტის მძლეველი მარიანო საბალეტა უკანასკნელ რვეულში ისე დაბინავდა, ჩოგანი არ გაუნძრევია, რაკიღა მისმა შეგრიპებულმა მეტოქე ელ აინაუიმ ოფლის მოდენა კორტის ნაცვლად საწოლში ამჯობინა.

სანაცვლოდ კი ძალი გარჯა მოუხდა მეორე არგენტინელს, წლეულს ყველაზე მეტი, 33 თიხნარმატჩის მომგებ გასტონ გაუდიოს. მან ადგილობრივ ქომაგებს უკანასკნელი ჯილა, წინა წრეში ალექს კორეჩას გამომდგები ვერნერ ეშაუერი გაუბუნძულა.

RCA CHAMPIONSHIPS
ინდიანაპოლისი. ჰარდი
საპრიზო 600 ათასი დოლარი

მესამე წრე

ენდი როდიკი (1, აშშ) — გრეგორი კარა (საფრანგეთი) 6:3, 6:4; პარადორნ შრიჩაფანი (2, ტაილანდი) — ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:4, 6:3; სხენგ შალკენი (3, ჰოლანდია) — ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 6:4, 6:2; ნიკოლას კიფერი (14, გერმანია) — ევგენი კაფელნიკოვი (4, რუსეთი) 6:3, 6:4; ძსაკიე მალისი (9, ბელგია) — ჟან-მიშელ გემბილი (5, აშშ) 6:4, 6:2; სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) — მარდი ფიში (6, აშშ) 3:6, 7:6 (7:3), 6:3; რობი ჯინეპრი (7, აშშ) — ივო ჰოიბერგერი (შვეიცარია) 6:1, 6:3

ანგარიშებზეც დაატყობი, რომ ტურნირის სამმა მოავარგანთესილმა მეოთხედფინალში უპრობლემოდ გაიკაკა, მათმომდევნო სამი ჩიუნის შპყრობელი კაცი კი მესამე წრეშივე ჩარჩა.

წლეულის ზანკპიოლტენური და ქუინსჯლაბური ტიტულების მომხვეჭი ესდიბოი უსახელო ფრანგ კარას გაუსწორდა, ხოლო მოწოდებით მემაგარსაფრე შრიჩაფანმა, რომელმაც უმთავრეს საძსეზონო მიღწევებს (ენაური ტიტული, ნახევარფინალი მაიამიში და მეოთხედფინალი სიდნეიში) სწორედ ამ საფარზე მიაღწია, ალექს ბოგომოლოვ ჯუნიორი ჩააპირქვავა.

სხვაფრივ იმას გეტყვით, რომ წლის მეხუთე მეოთხედფინალს უწია ამერიკელმა რობი ჯინეპრიმ.



კიმ კლაისტერსი ხეირიანად ჯერ არც გახურებულა

ამ ორი კვირის წინ მან ნიუპორტულ ბადახზე კარიერის პირველი ტიტული მოინაგრა და ახლა ყველას გვიდასტურებს, რომ ამბიცია სამაგარსაფროდაც მოეძევება.

ბორეატიის ჯიპ პირველობა
უმაგრ. თიხნარი
საპრიზო 400 ათასი ევრო

მეორე წრე

კარლოს მოია (1, ესპანეთი) — ფედერიკო ბრაუნი (არგენტინა) 6:2, 6:4; ფერნანდო გონსალესი (2, ჩილე) — კრისტოფ ფლიგენი (ბელგია) 3:0 ფლიგენმა შეწყვიტა; ფილიპო ვოლანდრი (7, იტალია) — სტანისლავ ვაგრინკა (შვეიცარია) 6:4, 6:3; დავიდ ფერერი (8, ესპანეთი) — ჟან-რენე ლინარი (საფრანგეთი) 6:3, 4:6, 7:5

კარლოს მოია უმაგს უკვე მეცხრედ სტუმრობს. ამ ხნის განმავლობაში მას იქ სამჯერ (1996, 2001 და 2002 წლებში) უჩემპიონია და ჯამში შვიდჯერ სულ მცირე მეოთხედფინალში გასულა. წლეულს ის მე-10 თიხნარტურნირზე გამოდის. ამ ათიდან შვიდში მან ასევე სულ მცირე უკანასკნელ რვეულს მაინც უწია. უსახელო არგენტინელი ბრაუნისთვის იმ დღეს მოგებული მატჩი კი მისი 41-ე საამსეზონო თიხნარმატჩი გახლდათ და 9 მარცხის წილ მას უკვე 32 გამარჯვება დაეკვეხება. ეგ არის და ეგ, დანარჩენი კი მაშინ იყოს, როცა ტურნირზე გადამწყვეტ პაექრობათა ჟამი დადგება.

BANK OF THE WEST CLASSIC
სტენფორდი. ჰარდი
საპრიზო 635 ათასი დოლარი

მეორე წრე

კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — ამბერ ლიუ (აშშ) 6:1, 6:1; მარიგბიანი მიძაილიანი (შვეიცარია) — მეგან შონესი (6, აშშ) 3:6, 7:6 (7:4), 6:4; ფრანჩესკა სქიავონი (იტალია) — ელენი დანილიდუ (7, საბერძნეთი) 6:3, 6:2; ლაიზა რეიმონდი (9, აშშ) — ანჯელა ჰაინესი (აშშ) 6:4, 6:2; მარია ვენტო-კაბში (ვენესუელა) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:1, 6:3

19 წლის უსახელო ამერიკელ ლიუს გაიმასქნებას 2001 წლის ჩემპიონმა, ფაშფაშა კიმ კლაისტერსმა 44 წუთი მოანდომა.

იმ დღეს მეორე ამერიკელი თინეიჯერი, შავდა უილიამსების თანასოფლელი ანჯელა ჰაინესიც დაიჩოგნა. არადა, ეს ცაცია და კუდრაჭა გოგო წინა დღეს იმახდა, ისეთი მაგარი ვარ, ამ ტურნირის მოგებაც შემიძლია.

ვერ მიერთვა. მისმა 29 წლის თვისტომმა ლიაზა რეიმონდმა ის აზრზე უსწრაფესად და კამაც-კამაც მოიყვანა.

რეიმონდი მორიგ შეხვედრას თავის ოდინდელ თანამეფედნაკრებე ჯენიფერ კაპრიატისთან გამართავს, რომელთანაც აქამდე შვიდჯერ უთამაშია და — ვაგლახ — მხოლოდ ორჯერ მოუგია.

ლევან კელაურაძე

ბელგიას დაბრუნების იმედი დაუბრუნდა

მთავრობამ «ბიჩოკი» მოწია



„სპა-ფრანკორშამს“ თამბაქოს რეკლამა და ფული დაუბრუნდა

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

2006 წლიდან ევროპაში თამბაქოს რეკლამა აიკრძალება. ბელგიის პარლამენტმა ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის შესაშური ზრუნვა გამოიჩინა და მავნე საქონლის აგიტაციას უკვე წლეულს დაადო ტაბუ.

მოგეხსენებათ, ფორმულა 1-ის გუნდების უმეტესობა სწორედ სიგარეტის მწარმოებელი ბობოლა კონცერნების დაფინანსებით სულდგმულობს. სანაცვლოდ, მრბოლ-ბოლიდები ტრასებსა და ტელეეკრანებზე „მარლბოროს“, „ვესტის“, „ლაქი სთრაიქისა“ და სხვათა ლოგოებით აჭრელებულები ჩნდებიან. ამ ნაჩქარევი ნაბიჯის გამო კი ლეგენდარულ „სპა-ფრანკორშამის“ ავტოდრომზე საფირმო წარწერების გარეშე მოუწევდათ ჯირითი, რისი ნებაც მეფულე პარტნიორებმა, ბუნებრივია, არ დართეს. შედეგად, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია იძულებული გახდა, ბელგიური ეტაპი წლევანდელი კალენდრიდან ამოეშალა. თუმც „სამეფო რბოლების“ გამგებელმა, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბერნი ეკლსტოუნმა ბელგიელებს დაბრუნების შანსი დაუტოვა, ოღონდ გადამწყვეტი სიტყვა თქვენს მთავრობაზეაო.

თითქმის ერთწლიანი ყოყმანის შემდეგ, როცა თითქმის ყველამ ხელი ჩაიქნია, პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისია ამ დღეებში დათმობაზე წავიდა და ავტოდრომის ტერიტორიაზე 2005 წლის ბოლომდე აკრძალვას მორატორიუმი გამოუცხადა. ასე რომ, გაისად „სპაზე“ რბოლის ჩატარების იმედი გაჩნდა.

ეკლსტოუნი უკვე შეხვდა ბელგიის ეკონომიკის მინისტრ სერჟ კუბლას. ლონდონში მეფორმულეთა ბოსთან აუდიენციის შემდეგ მინისტრი კმაყოფილებას ვერ ფარავდა: „ბატონმა ეკლსტოუნმა დამაიმედა, რომ ასი პროცენტით მხარს უჭერს „სამეფო რბოლების“ სპა-ფრანკორშამში დაბრუნებას და ყოველ ღონეს იხმარს, რათა ბელგიის დიდი პრიზის გათამაშება მომავალ წელსვე გაიმართოს.“

პრობლემა ისაა, რომ საგაისო, 17-ეტაპიან წინასწარ კალენდარში ყველა ადგილი დაკავებულია. „სპაზე“ რბოლას იმ შემთხვევაში ვიხილავთ, თუ ბაჰრეინი ან ბრიტანული „სილვერსტოუნი“ ვერ შეძლებენ მეფორმულეთა მიღებას ანდა სხვა საჯინიბოების მეპატრონეები ერთი ეტაპის დამატებას დათანხმდებიან.

2005 წლის კალენდარი ოქტომბერში დადგინდება.

გია ახალაძე

პეპლები და ნამჯა პუატუს მინდვრებში

იან ულრიხმა არც ამჯერად აიტკივა თავი და დაიღალა ფეხები. ბოლო ოთხ ტურ დე ფრანსის ტრიუმფატორის და ახლა, მეხუთედაც ისტორიული გამარჯვებისკენ მავალ ლენს არმსტრონგის მუდმივი პრეტენდენტი კვლავ ბოლოსთვის ინახავს ძალებს.

ბოლო კი დღეს დადგება, არსებითად დღევანდელი ეტაპი, პორნიკიდან ნანტამდე 49 კილომეტრზე გაჭიმულ ინდივიდუალურად, ცალცალკე გასარბოლი ეტაპი ტურზე რიგირთ 19, ანუ ბოლოსწინა გახლავთ, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, ჩემპიონი ამ მოკლე დისტანციაზე გაირკვევა. რაც შეეხება ოფიციალურ კალენდარში ბოლო ეტაპს, მას სიმბოლური დატვირთვა აქვს და ტურის — რაც ფრანგულად წრეს ნიშნავს — ქარავანი პარიზში წრეს რომ შეკრავს, უკვე გაჩემპიონებული მრბოლი — არმსტრონგი ან ულრიხი — როგორც ჩემპიონი ტრიუმფალური მარშით შევა პარიზში.

არმსტრონგიცა და ულრიხიც ძლიერი ინდივიდუალისტები არიან, თუმც წლეულს პირველ ინდივიდუალურ რბოლაში გერმანელმა მეტად ივაჟკაცა და ამერიკელს მთელი წუთინახევარიც კი მოუგო. ახლაც რომ იგივე განმეორდეს, არმსტრონგი საერთო ჩათვლაში ლიდერობას დაკარგავს და შესაბამისად, ზედიზედ მეხუთე ჩემპიონობასთან გამოთხოვებაც მოუწევს, რაც გვარიანად დაამწუხრებდა მის ქომაგებს. არმსტრონგი ხომ თვით ლეგენდარული ესპანელის მიგელ ინდურაინის რეკორდს ზედიზედ ხუთ ჩემპიონობას იმეორებს.

გამომდინარე ამ ინტრიგიდან, რომელიც ყოველი ეტაპის მოლოდინთან ერთად იზრდება და, რომელიც ბოლო წლებზე მძაფრად იგრძნობა, თვითონ ეტაპის მომგები ერთი ეტაპის მრბოლები შესაბამისად დღიურ გმირებად „ხურდავდებიან“ და იმ დღეს სრულიად ძალაგამოცლილები, მეორე დღეს ისე შეერევიან ათეულობით მათ მსგავსთა ჯგროს, როგორც ნამჯის ღერი პუატუს მინდვრებში ლამაზად ჩამწკრივებულ თივის გორგლებს.



REUTERS ლეკოლიდან

პაბლო ლასტრასი

ამის გამოც მხოლოდ ვახსენოთ იბანესტო — კომის ესპანელი მრბოლი პაბლო ლასტრასი, რომელმაც მე-18 ეტაპი სპრინტში მოიგო, დღეს კი ინდივიდუალურ რბოლაში, ალბათ, ოცეულშიც ვერ მოხვდება.

კოტე ყორღანია

XVIII ეტაპი. 25 ივლისი

ბორდო — ლეკოლი 203,5 კმ

1 პაბლო ლასტრასი (ესპანეთი, Ibanesto.com) 4სთ 35წთ 18წმ
2 კარლოს დაკრუზი (საფრანგეთი, FDJeux.com)
3 დანიელე ნარდელო (იტალია, ტელეკომი)
ორივე იგივე დრო
4 დავიდ კანადა (ესპანეთი, ქუიქ სტეპი) + 4წმ
5 მასიმილიანო ლელი (იტალია, კოფიდისი) + 19წმ

საერთო ჩათვლა

1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) 79სთ 7წთ 49წმ
2 იან ულრიხი (გერმანია, ბიანკი) + 1წთ 5წმ
3 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტელეკომი) + 2წთ 47წმ
4 აიმარ სუბელდია (ესპანეთი, ეუსკატელი) + 5წთ 19წმ
5 იბან მაიო (ესპანეთი, ეუსკატელი) + 5წთ 27წმ
6 ტაილერ ჰამილტონი + 6წთ 37წმ

მაიკლ ფელპსი: ბიჭი-რეკორდი
ტორპის ტორპი არ დაილევა



REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონაში მსოფლიოს ჩემპიონატს პირდაპირ რეკორდების თქმაში გასდის და მათი ავტორი ძირითადად 18 წლის ამერიკელი ბოი-ბატერფლაი მაიკლ ფელპსია. ვუნდერბიჭუნამ გუშინ კიდევ ორი რეკორდი დაამყარა და სულ ბარსელონაში 4 დააგროვა.

ფელპსი გუშინდლამდე იყო 200 მეტრი ბატერფლაის და 200 მეტრი კომბინაციის მსოფლიო რეკორდების ავტორი, გუშინ კი მან 100 მეტრ ბატერფლაიში და 200 მეტრ კომბინაციაში აჩვენა ის დრო, რომელიც მანამდე არავის და არასდროს უჩვენებია. დისციპლინათა დამთხვევა ნუ დაგაბნევთ. ფელპსმა, მაგალითად, 200 კომბინაციაში ორჯერ დაამყარა რეკორდი, ორ დღეში, პირველი ნახევარფინალურ და მეორე ფინალურ გაცურვაში.

ახლაც მან შეიძლება დღესვე, ფინალში გაუმჯობესოს 100 მეტრ ბატერფლაიში გუშინ ნახევარფინალში დამყარებული რეკორდი. აღსანიშნავია, რომ გუშინ ფელპსმა 100 მეტრ ბატერფლაიში რეკორდი რომ მოხსნა, ის სულ ახალი დამყარებული იყო. პირველ ნახევარფინალში უკრაინელმა ანდრეი სურდინოვმა ეს დისტანცია 51.76 წამში დაფარა და ავსტრალიელ მაიკლ კლიმს ძველი მიღწევა წაუშალა. მაგრამ ფელპსი ვინმეს რამეს დაუთმობდა? ადგა და მეორე ნახევარფინალში სურდინოვის შედეგს 0.19 წამი ჩამოაჭრა. არავის გაუკვირდება დღეს ფინალში კიდევ რომ შეამციროს ეს დრო.

ამ რეკორდიდან ერთი საათიც არ გასულა და ფელპსმა იმ დღის მეორე, ხოლო ჩემპიონატის მეოთხე რეკორდი ჩაიწერა. 200 მეტრი კომბინაციის ფინალში წუთი და 56.04 წამი აჩვენა ეს დროს მთელ 1.48 წამით ნაკლებია იმ რეკორდზე, რომელიც ამ საშინელმა ბიჭუნამ 24 საათის წინ დამყარა. ფელპსი ყველაზე მეტად უკანასკნელი რეკორდით იამაყებს, რამეთუ 200 მეტრი კომბინაციის ფინალში თვით იან ტორპს, თანამედროვეობის უძლიერეს მოცურავეს აჯობა, თანაც მთელი 3 წამით.

კოტე ყორღანია

მომეცით ჩემი ბეჭედი!

რას იფიქრებდა მაიკ მოდანო, რომ ერთ მშვენიერ დღეს თავის საჩემპიონო ბეჭედს აუქციონზე იხილავდა.

1999 წელს დალასთან ერთად გაჩემპიონებისთვის მიღებული ეს ძვირფასი ნივთი ჰოკეისტს, როგორც თავად ამბობს, ოქრომჭედელთან მიუტანია, რათა მისი ხარისხიც გაეუმჯობესებინა და დუბლიკატიც გადაეღო. იუველირმა, ვინმე დენის ბულმა მოდანოს ბეჭედის დატოვება თხოვა, ჰოკეისტიც დათანხმებულა და...

წარმოიდგინეთ, როგორ გაოცდებოდა მოდანო, როცა ნახავდა, რომ მისი ბეჭედი იყიდება. ფასმა 20 000 დოლარამდე რომ აიწია (აუქციონი ერთ-ერთი ინტერნეტ-საიტის მეშვეობით ტარდებოდა), ცხადია, ჰოკეისტის თხოვნით, ეკრანზე გაჩნდა წარწერა: „გაყიდვა წყდება, ვინაიდან ლოტი ამოღებულია აუქციონიდან.“

სიტუაციაში გარკვევა კიდევ უფრო გაჭირდა ბეჭდის „გამყიდველი“ კომპანიის მოკლე და გაუგებარი განცხადების შემდეგ. საინტერესოა, რომ თვით ოქრომჭედელი და მისი კომპანია „დებულ ჯუველერსი“ იხტიბარს არ იტხეს და თავის სიმართლეს ამტკიცებს.

„პირველ ყოვლისა, გვსურს, განვაცხადოთ, რომ უფლებამოსილნი ვიყავით, ბეჭედი გაგვეყიდა“ — ასოშიეიტედ პრესში გაკეთებულ კომენტარში კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი ჯეფ ბარტლი მოდანოს აქეთ აღებს ვალს. საეჭვოა, რომ მან დამატებით კითხვებზე პასუხს თავი აარიდა და ისღა დასძინა, განმარტებისთვის მოდანოს აგენტ ბიბ მიურეის მიმართეთო.



მაიკ მოდანო თითქმის გაჭურდეს

მიურეი ჯერჯერობით დუმს.

როზიტაილი მესამედ მოდის



ცხოვრება ასეთი ყოფილა. ზოგი ლამის მთელ თავის კარიერას ერთ გუნდში ატარებს, ზოგი კი სად არ ამოყოფს თავს, მაგრამ ბოლოს მაინც ძველი ნავსადგურში მიცურავს ღუზის ჩასაშვებად. მაგალითად, ლუკ რობიტაილმა მსოფლიო მოიარა, მაგრამ კვლავ თავის პირველ კლუბ ლოს ანჯელესს დაუბრუნდა.

რობიტაილი უკვე მესამედ მიდის „მეფეებში“. მანამდე მან ნანატრი თასი მოიგო დეტროიტთან ერთად, თუმც ვარსკვლავურ გუნდში მთავარი როლი არასდროს უთამაშია, გასული სეზონი საერთოდაც ჩაიფლავა. „დიდების დარბაზის“ მომავალმა წევრმა 11 გოლით დაასრულა ჩემპიონატი, პლეი ოფში კი ერთხელაც ვერ გამორჩა.

ახლა რობიტაილი ჩინებულ გუნებაზეა — „ლოს ანჯელესში დაბრუნებით აღფრთოვანებული ვარ. ამასვე განიცდის ჩემი ოჯახი. აქ დავიწყე კარიერა და საუკეთესო მატჩებიც ჩავატარე. იმედია, მეფეებს კიდევ გამოვადგები“ — თქვა მან. ახალი, ერთწლიანი კონტრაქტის დეტალები უცნობია, მაგრამ ერთის თქმა დანამდვილებით შეიძლება, რობიტაილის ჯამაგირი წინა სეზონში მონაგრებულ 4 მილიონზე გაცილებით ნაკლები იქნება.

ბობი ჰალი წყალს ამღვრევს

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ შესაძლოა, ნჰლ-ს სულ მალე რეალური კონკურენტი გაუჩნდეს ჩრდილო-ამერიკაში, ისევე როგორც 70-იან წლებში. ოკეანის გაღმა ვჰა-ს ანუ მსოფლიოს ჰოკეის ასოციაციის აღორძინებას აპირებენ.

ხელმეორედ გაცოცხლებული ლიგის კომისიონერად თვით ბობი ჰალი დაინიშნა. დიახ, სწორედ ის ლეგენდარული ჰალი, რომლის 1972 წელს ვჰა-ში გადასვლამ ლამის დააქცია ნჰლ-ის იმპერია. ახლაც, ეტყობა, მისტერ ჰალს დიდი ამბიციები ამოძრავებს. ჰალი-უფროსი პირველ რიგში თავისი ვაჟიშვილის გადაბირებას აპირებს. დეტროიტში მოთამაშე სუპერვარსკვლავს მომავალ წელს უმთავრდება კონტრაქტი. შემდეგ კი ნჰლ-ს ლოკაუტი ემუქრება. ასე რომ, უმცროსი ჰალის ვჰა-ში გადასვლა არაერალურია, ამის მტკიცებას ვერ მოვყვებით.

ჩემ შვილის სიტუაციაში „უამრავი ვეტერანი ჰოკეისტია და ვფიქრობ, მათ ჩვენი წინადადება დაინტერესებთ“ — ამბობს ბობი ჰალი. მისი თქმით, ახლა ნჰლ-ში სიტუაცია რადიკალურად იცვლება. კლუბების ბოსები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა მოთამაშეთა ხელფასები შეამცირონ და იმას, ვინც ახალ წესებს არ დაემორჩილება, გაუშვებენ. ყველა მათ ჰალი თავის ლიგაში ეპატიჟება. ბობი კონკრეტულ სახელებსაც ასახელებს — ადამ ოუთსი, იგორ ლარიონოვი, კრის ჩელიოსი, სტივ ტომასი და ბევრი სხვა. როგორ ფიქრობთ, მათი მონაწილეობით ჩატარებული მატჩები უინტერესო იქნება? ეგებ ამ ეტაპზე ყველაფერი ეს არადამაჯერებლად ჩანს, მაგრამ ვინ იცის... თან ჰალი წესების ძირფესვიან შეცვლას აპირებს და უფრო ევროპული ჰოკეისკენ იხრება, რაც დღესდღეობით პროგრესულად ითვლება ყინულოვანი თამაშის სამყაროში. ნელ-ნელა ნჰლ-ც ითვისებს ახალ წესებს, ჰალი კი გაცილებით რადიკალურ ცვლილებებს ჰპირდება საზოგადოებას. მეტიც, ვჰა-ის ბოსი ზოგიერთი დარღვევის გამო უმალვე საჯარიმო რეიდის ანუ ბულიტის დაწესებას აპირებს.

„იმედია, მე უკეთ წავიყვან საქმეს, ვიდრე მისტერ ბეტმენი (ნჰლ-ის კომისიონერი). ვფიქრობ, ჩემი გამოცდილება საკმარისი იქნება, რათა ჰოკეი გავაუმჯობესო“ — აცხადებს ჰალი.

სამველ ღარიბიანი

ᲔᲨᲛᲐᲙᲘ ᲢᲣᲠᲖᲔ



REUTERS ლუბინგიდან

ტურ დე ფრანსი ასი წლისაა, გვამცნობს ეშმაკად მოსილი კაცი. ის ველოსპორტის გიჟმაჟი გულშემატკივარი, ტომით გერმანელი დიდი ზენფტი გახლავთ. მთელი ტურის განმავლობაში ეშმაკის სამოსში გამოწყობილი ზენფტი ხელ-ფეხს დაიბორკავს ხოლმე და ტურის გზებზე გამოჯდება. ასეა წლიდან წლამდე. ზოგჯერ ის გოგოებსაც დაიქირავებს ხოლმე. შესაბამისად ჩაცმევს და თავის დემონებად გამოაცხადებს. დაბორკილობით ზენფტი თითქოს ველომხედრებს ეუბნება, ეშმაკი დაბმული მყავს, მშვიდად ირბოლეთო.



REUTERS ლუბინგიდან

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

REUTERS ლუბინგიდან

REUTERS ლუბინგიდან

REUTERS ლუბინგიდან

მადრიდის „რეალმა“ დევიდ ბექჰემი დაითრია და მისი კაპიტალისტური ექსპლუატაციაც დაიწყო. „რეალში“ იოლად მოიძებნება ბექჰზე უკეთესი მოთამაშე, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ინგლისელი ღმერთია და ჩინელ გოგოებს ამ სუპერმენის გვერდით ვერავის დაუყენებ. ჰოდა, „რეალმა“ თავისი ჩინური ტურნე გასწია. იუნანის პროვინციის დედაქალაქ კუნმინგში „რეალი“ სავარჯიშოდ დგას და რაც ხდება, თავადვე ხედავთ. ამ ორკვირიანი აზიური ტურნეთი, რომლის დროსაც მადრიდელებს და მათ აზიურ თილისმას გზებზე სულ ფიანდაზებს უგებენ და ყვავილებითა და ცეკვა-თამაშით ეგებებიან, „რეალი“ ეცდება, დედამიწის ამ ნაწილში ინგლისური კლუბების ბატონობას შეუყენოს წყალი და მაისურების, ტელერეპორტაჟების, სუვენირების გაყიდვაში შეეტოქოს. ჩინელი ლამაზმანები კი, თუმც ზინედინ ზიდანსაც ყვავილებით ამკობენ, მაინც ბექჰემს ითხოვენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალვაშერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge